# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 14 თებერვალი 2007 №32 (2955) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკის


გოგუა: ტომსკი ან მოსკოვი 2

ქართული რისკი ჩვენი შანსია ინტერვიუ ჰაიკო ვებერთან 2

დინამო ტიტულებისთვის გაემზადა 3


## ცხოვრება ევროპაშიც გაძაღლდა

UEFA CUP

### შიში ოხერი და თან საჭიროა: უეფამ თავი და თასი დაიზღვია



დღეს ევროფეხბურთი იწყება — უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში უჩვეულო და აქამდე უპრეცედენტო კენტი ოდენობის გუნდია.

უფრო ზუსტად, ოდენობა კი კენტია (15), მაგრამ ინგლისური „ტოტენჰემი“ უკვე მერვედფინალშია.

მიზეზი გეხსომებათ: ჰოლანდიური „ფეიენოორდი“ თავისი ქომაგების აშარობისა და უსაქციელობის გამო დაისაჯა და „ტოტენჰემიც“ ამად დარჩა უმეტოქოდ.

ქომაგები და, ზოგადად, არეულობა სტადიონებზე თუ მის გარეთ — ეს ყველაფერი უკვე ძალიან შემაშფოთებელი ხდება და უეფაც თითს აქნევს. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დასჯილ კლუბებს ევროპული ფეხბურთის თავებიც ემუქრებიან და ამის გამოა, „ლივორნო“ „ესპანიოლს“ ცარიელ სტადიონზე რომ დაუხვდება.

მოკლედ, ევროფეხბურთი ძალადობას შეეჯახა და ღმერთმა ქნას, პირველი გოლი დღეს გაუტანოს...

## ქართველებს მძიმე კენჭი ამოუვიდათ

ზაფხულიდან საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს ევროშესარჩევი დაეწყება, გუშინ კი სტოკჰოლმში ჩვენი ახალგაზრდების მეტოქეები გაირკვა — სხვათა გარდა პეტარ სეგრტის სამწყსოს ესპანეთთან და რუსეთთანაც მოუწევს ორ-ორჯერ შეხლა.

ასეთ მეტოქეებთან ბრძოლას შეძლება უნდა. ისიც კარგად გამოჩნდება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და კლაუს ტოპმიოლერის სამწვრთნელო შტაბმა სეგრტის დანიშვნით რა კალაპოტი მისცეს ქართველ ახალგაზრდებს.



## წაგვიხდა წლეულს ტურ-ნირი

ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი წლეულს არ გაიმართება. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ინფორმაცია გუშინ თავად ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ დაგვიდასტურა. ერთ დროს მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად წოდებული თბილისის ტრადიციული შეჯიბრი, სავარაუდოდ, მხოლოდ ერთი წლით „შეყოვნდება“, გაისიდან კი ეგებ უფრო მაღალი რანგისაც გახდეს. წლეულს ტურნირის არჩატარების ერთ-ერთი მიზეზი სპორტის სასახლის მოსალოდნელი რეკონსტრუქციაა, თუმცა ესეც რომ არ იყოს...

„ბალავაძე-კარტოზიას სახელობის ტურნირი ფედერაციისთვის ფინანსურად ძალიან წამგებიანი იყო და, სიმართლე ვთქვათ, სპორტული თვალსაზრისითაც ვერ ვნახულობდით დიდ მოგებას. პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო წელიწადია და აჯობებს, საორგანიზაციო ხარჯები ნაკრებების მოსამზადებლად გამოვიყენოთ“ — გვითხრა კახა გეწაძემ.





## რანი ვიყავით და... იმ ძველ ცხენებზე ძველი ქართველები შესხდნენ და წავიდნენ

### ზურაბ ჯინჯარაძე: ვაჩნაძის სახელის ხსენებაზე ფრანგული საცხენოსნო სკოლა ფეხზე დადგა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გოგიტა გოგუას ტომსკი ან მოსკოვი

## ანდრეი ჩერვიჩენკო: ნალჩიკი გამორიცხულია

სად გააგრძელებს კარიერას 23 წლის გოგიტა გოგუა, ჯერაც უცნობია. შოტლანდიურ „ჰართსში" მოულოდნელად ჩაშლილი ტრანსფერის შემდეგ მხოლოდ ის გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ზაფხულამდე რუსულ პრემიერლიგაში ითამაშებს. ჰართსული პერიპეტიების მერე ითქვა, გოგიტა ნალჩიკის „სპარტაკს" დაუბრუნდებაო, მერე იმაზე იყო ლაპარაკი, გოგუამ ტომსკის „ტომს" მიაშურაო... მოკლედ, გოგიტას სამომავლო ამბები აქ რომ ვერ შევიტყვეთ, მისი სატრანსფერო უფლებების მფლობელ რუს ბიზნესმენ ანდრეი ჩერვიჩენკოს მოსკოვში დავუკავშირდით და მეტნაკლებად კონკრეტული პასუხიც მივიღეთ...



— გოგუა ჯერ ისევ უგუნდოდაა. მან უკვე ბევრი წინადადება მიიღო და შეიძლება ითქვას, გუნდი ასარჩევადაც კი აქვს, თუმცა ახალი კლუბი მის ამბიციებს უნდა აკმაყოფილებდეს.

— შესაძლოა, რომ გოგუა ისევ ნალჩიკის „სპარტაკს" დაუბრუნდეს?

— არა, ეს გამორიცხულია. გოგუა ნალჩიკში აღარ ითამაშებს.

— „ტომში"?

— ეს შესაძლოა. ერთ-ერთი რეალური და საინტერესო წინადადება მას სწორედ „ტომიდან" აქვს. გოგუა ახლა მოსკოვშია და ერთად გადავწყვეტთ, რომელ კლუბში თამაში იქნება მისთვის უკეთესი.

— „ტომის" გარდა კიდევ რა ვარიანტებია?

— „ტომის" გარდა ყველაზე მიმზიდველი წინადადება გოგუას მოსკოვის ერთ-ერთი კლუბისგან აქვს.

— ვერ დააკონკრეტებთ?

— ჯერ ვერა, მხოლოდ ამას გეტყვით: თუ სად ითამაშებს გოგუა, ამ კვირაში გადაწყდება.

— მოკლედ, ან „ტომი", ან ერთ-ერთი მოსკოვური გუნდი?

— დიახ, გოგუა ან ტომსკში ითამაშებს, ან მოსკოვში.

**ძობა ინასარიძე**



# ჰაიკო ვებერი: რისკი ჩვენი შანსია

## ბევრმა გერმანელმა საქართველო ტოპით გაიცნო

გიორგი ლომაიამ და მიხეილ აშვეთიამ იენის „კარლ ცაისში" ჯერ მხოლოდ ორი მეორებუნდესლიგური მატჩი ითამაშეს და უკვე მოასწრეს თავის გამოჩენა. წინა ტურში „კარლ ცაისმა" „ესენი" 2:0 დაამარცხა; აშვეთიამ ეფექტური გოლი გაიტანა, ლომაიამ კი რამდნეიმე ძნელი ბურთი მოიგერია და „კარლ ცაისის" გულშემატკივართა გამოკითხვით მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დასახელდა.

ჩვენი რესპონდენტი კი იენელთა მთავარი მწვრთნელი ჰაიკო ვებერია...

— რას იტყვით გიორგი ლომაიასა და მიხეილ აშვეთიაზე, რამდენად წაადგნენ ისინი გუნდს?

— ლომაიამ ორჯერვე ჩინებულად ითამაშა, კვირას კი მართლაც საუკეთესო იყო. აშვეთიას პრობლემა ენობრივი ბარიერია, მაგრამ იგი გუნდს მაინც კარგად შეეწყო, რისი დასტურიც კვირას გატანილი მისი გოლია.

— რას ფიქრობთ, დარჩება „კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგაში?

— საამისოდ თავს არ დავზოგავთ. მართალია,. ბევრი თამაში წავაგეთ, მაგრამ ახალწვეულებმა აშკარად გაგვაძლიერეს და კვირას „ესენთან" აკი მოვიგეთ კიდეც. ჩვენი კონკურენტები „აუგსბურგი" და „კობლენცი" არიან, თუმცა ვფიქრობ, რომ შანსი საკმაოდ გვაქვს. დღეისათვის 13 კარგი მოთამაშე გვყავს, რომელთა თავდადებასა და ცოტა იღბალზეც იქნება ჩვენი მომავალი დამოკიდებული. რვა წელი ქვედა ლიგაში ვიყავით და ბოლო წლებშიღა შევძელით დაწინაურება, რის შესანარჩუნებლად ვიბრძვით კიდეც.

— განა სარისკო არ იყო ლომაიასა და აშვეთიას პირველივე თამაშში ძირითადში დაყენება?

— რა თქმა უნდა, რისკი იყო, მაგრამ სხვა შანსი არ გვქონდა. რისკმა კი კარგი შედეგი მოგვიტანა.

— ქართველ ფეხბურთელებს რეკომენდაცია ვინ გაუწია?

— მათზე ჩვენი მეგობრისგან, კირიაკოვისგან შევიტყვეთ. შემდეგ დავუკავშირდი ტოპმიოლერს და მინგეს, რომელთაც ორივენი კარგად დაგვიხასიათეს. ასე აღმოჩნდნენ ლომაია და აშვეთია იენაში.

— გერმანიაში მოთამაშე სხვა ქართველ ფეხბურთელებს თუ იცნობთ?

— პირადად არა, მაგრამ მათ თამაშს კარგად ვიცნობ, „შალკეში" ძალიან წარმატებულია ლევან კობიაშვილი, რომელსაც მთელ გერმანიაში იცნობენ.

— 1981 წელს თბილისის „დინამომ" თასების თასის ფინალი მოუგო „კარლ ცაისს". გახსოვთ ეს თამაში?

— სწორედ ამ თამაშის შემდეგ გავიცანით საქართველო და ქართული ფეხბურთი. 1981 წლის დავიწყება შეუძლებელია. სამი წლის წინ თბილისის დინამოელები იენაშიც გვესტუმრნენ.

— უყვართ იენაში ფეხბურთი, რამდენი მაყურებელი დადის თქვენს თამაშებზე?

— იენელებს ფეხბურთი მართლაც ძალიან უყვართ. აქ 100 ათასი მცხოვრებია, ჩვენს თამაშებს კი ყოველთვის ესწრება 10 ათასი მაყურებელი.

— ფინანსურად „კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგის სხვა გუნდებს ჩამორჩება?

— ზოგადად, როცა ცხრილში ასე დაბალ საფეხურზე დგახარ, ფინანსური პრობლემებიც ჩნდება. თამაშზე ბევრი მაყურებელი არ დადის და ტელევიზიაც არ იჩენს დიდ ინტერესს. მეორე ბუნდესლიგაში კი ყველაფერი მთლად ასე არ არის. ვფიქრობ, თუ არ გავვარდებით, ფინანსურადაც გაუმჯობესდება ჩვენი მდგომარეობა.

— კლაუს ტოპმიოლერთან ან რალფ მინგესთან თუ გაქვთ კონტაქტი?

— კონტაქტი ორივესთან მაქვს, პირადად კი მხოლოდ რალფ მინგეს ვიცნობ.

— გერმანიაში აინტერესებთ როგორ მუშაობს ტოპი საქართველოში?

— ბევრმა გერმანელმა ქართული ფეხბურთი კლაუს ტოპმიოლერით გაიცნო. იგი გერმანიაშიც ძალიან წარმატებული მწვრთნელი იყო, თურქეთთან მოგების შემდეგ კი ყველასთვის ნათელი გახდა, რომ საქართველოშიც ნაყოფიერად მუშაობს.

**ნინო სილაგაძე**

# 21-წლამდელებს 2009 დაუკენჭეს

## კიდევ ერთი საქართველო — რუსეთი

ესპანეთი, რუსეთი, პოლონეთი, ყაზახეთი — ესეც საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მეტოქეები ევრო 2009-ის შესარჩევ ციკლის მეოთხე ჯგუფში.

გუშინ სტოკჰოლმში გამართულ კენჭისყრაზე საქართველო მეოთხე კალათაში იყო და ცხადია, სულ ცოტა, ერთი გრანდი არ აგვცდებოდა. ყველაზე მძლავრი მეტოქე კი ალბათ ესპანეთია, რომელსაც ამ ასაკში ყოველთვის სუპერნაკრები ჰყავდა.

სტოკჰოლმურ კენჭისყრაზე 51 ნაკრები 10 ჯგუფად განაწილდა. ჯგუფიდან საუკეთესოები გავლენ, რომლებსაც ოთხი რჩეული მეორეადგილოსანი დაემატება — ეს 14 ნაკრები კი შინ და სტუმრად შეხვდება ერთმანეთს და შვიდი საუკეთესო ფინალურ ეტაპზე გავა, სადაც მათ მასპინძელი შვედეთი შეუერთდება. ფინალური ეტაპი 2009 წლის 14-27 ივნისს გაიმართება.

ჯგუფური ეტაპი მიმოსვლით გაიმართება, მატჩები კი ამ დღეებში იქნება: 2007 წელს — 2-3 ივნისი, 5-6 ივნისი, 8-9 სექტემბერი, 11-12 სექტემბერი, 13-14 ოქტომბერი, 16-17 ოქტომბერი, 17-18 ნოემბერი, 20-21 ნოემბერი; 2008 წელს - 11-12 ოქტომბერი, 14-15 ოქტომბერი.

სრული კალენდარი ერთ თვეში დადგინდება.

**ილია ნანობაშვილი**



პეტარ სეგრტის ქართველებს ძნელი მატჩები არ მოაკლდებათ

I ჯგუფი: იტალია, ხორვატია, საბერძნეთი, ალბანეთი, აზერბაიჯანი, ფარერები
II ჯგუფი: ჩეხეთი, უკრაინა, თურქეთი, სომხეთი, ლახტენშტაინი
III ჯგუფი: პორტუგალია, ინგლისი, ბულგარეთი, ირლანდია, ჩერნოგორია
V ჯგუფი: ჰოლანდია, შვეიცარია, ნორვეგია, მაკედონია, ესტონეთი
VI ჯგუფი: დანია, სლოვენია, ლიტვა, ფინეთი, შოტლანდია
VII ჯგუფი: ბელგია, სლოვაკეთი, ისლანდია, ავსტრია, კვიპროსი
VIII ჯგუფი: სერბეთი, უნგრეთი, ბელარუსი, ლატვია, სანმარინო
IX ჯგუფი: გერმანია, ისრაელი, მოლდოვა, ჩრდ. ირლანდია, ლუქსემბურგი
X ჯგუფი: საფრანგეთი, რუმინეთი, ბოსნია, უელსი, მალტა

## ინგლისი

| ჩემპიონატი გადადებული მატჩი | პირველი ლიგა გადადებული მატჩი | ასოციაციის თასი 1/16 ფინალი. გადათამაშება |
|---|---|---|
| კოლჩესტერი 1:2 ვესტ ბრომვიჩი | ლეიტონი 1:4 ბრაიტონი | ნორვიჩი 3:2დ.დ.(1:1) ბლეკპული |
| | | მიდლსბრო 2:2(5:4პენ.) ბრისტოლი |

# დინამომ ახლები დანიშნა

## დუშან უჰრინი: გუნდი ტიტულებისთვის გავამზადეთ



ბადრი კეთილაძის ფოტო

თბილისის „დინამომ", რომელმაც ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადება უკვე დაასრულა და 18 თებერვლის საქართველოს თასის მერვედფინალის პირველი მატჩის მოლოდინშია, გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე ოთხი ახალწვეული წარადგინა — ავსტრალიელი ნედ ზელიჩი, სლოვაკი მილოშ კრშკო და „ვიტ ჯორჯიას" ყოფილი ნახევარმცველები — დავით დილმელაშვილი და გიორგი ფეიქრიშვილი.

„დინამოს" მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ და სპორტულმა დირექტორმა ამირან ლიბრაძემ მათ გუშინვე მაისურები გადასცეს — ზელიჩს 24 ნომერი ერგო, კრშკოს — 16, დილმელაშვილს — 81, ხოლო ფეიქრიშვილს — 28. სხვათა შორის, დავით დილმელაშვილი, რომელიც გუნდმა შოთა კაშიას თავმდაბლური ნაბიჯის შემდეგ — „დინამოში" ჩემზე გამოცდილი ფეხბურთელები არიან და კაპიტნის სამკლავური არ მეკუთვნისო — კაპიტნად აირჩია. დილმელაშვილი ადრე 18 ნომერი იყო, მაგრამ, რადგანაც გუნდში ეს მაისურა დაკავებული გამოდგა, ახალ კაპიტანს ბევრი არ უფიქრია და 81 ისურვა. კითხვას კი ასე უპასუხა — 81 ძველი ნომრის შებრუნებული ვარიანტიაო...

მაისურების გადაცემის შემდეგ „დინამოს" მწვრთნელმა დუშან უჰრინმა და ბუბა ტყავაძემ ჩვენს კითხვებს უპასუხეს



ბადრი კეთილაძის ფოტო

— რას იტყვით მოსამზადებელ პერიოდზე, კმაყოფილი ხართ?

— მოსამზადებელი პერიოდი სამ ეტაპად გვქონდა გაყოფილი. იანვრის დასაწყისში ბაკურიანში გახლდით, ხოლო შემდეგი ორი კვირა — ანთალიაში. ეს ორი შეკრება ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად დაგვჭირდა და, ვფიქრობ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მესამე შეკრება კი ისევ ანთალიაში გავიარეთ, ოღონდ მეტი ყურადღება ტაქტიკურ-ტექნიკური ვარიანტების დამუშავებას დავუთმეთ. ჩავატარეთ რვა ამხანაგური მატჩი, რამდენიმე ძლიერი მეტოქეც გვყავდა. შედეგს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩვენი საფიქრალი გუნდის შემადგენლობის შერჩევა და სათანადო ტაქტიკური ვარიანტების დამუშავება იყო. ამ მატჩებისას კარგად გამოჩნდა, რა შეგვიძლია და მომავალში უფრო მეტი რომელი მიმართულებით უნდა ვიმუშავოთ. მოკლედ, მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილი ვარ. მიმაჩნია, რომ „დინამო" ჩემპიონატისთვის და თასზე სათამაშოდ მზად არის.

— „დინამოს" რამდენიმე ფეხბურთელი ტრანსფერზეა...

— თავდამსხმელი კაკალაძე და მეკარე სტურუა გუნდიდან მიდიან. ჩვენ უკვე სამი მეკარე გვყავს — ლორია, გრიშიკაშვილი და მაკარიძე, რომელიც 21-წლამდელთა ნაკრებშიც მიიწვიეს და საკმაოდ პერსპექტიულად მიმაჩნია. გრიგალაშვილი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ისეთი ფეხბურთელი მჭირდება, რომელიც გუნდისთვის ითამაშებს.

— **სირბილაძესა და ორბელაძეზე რას იტყვით. ითამაშებენ ისინი „დინამოში"?**

— სირბილაძე გვიან შემოგვიერთდა და მასზე სრული წარმოდგენა ჯერ არ მაქვს. მოგვიანებით გადაწყდება, დარჩება თუ არა ის ჩვენთან. ორბელაძეც გვიან ჩამოვიდა, თანაც მას ტრავმა აწუხებდა, ჩვენ კი ისეთი ფეხბურთელი გვჭირდება, რომელიც 18 თებერვლის სათასო მატჩისთვის მზად იქნება.

— **მოსამზადებელი პერიოდისას სასელექციო საქმიანობით კმაყოფილი ხართ? გუნდში მხოლოდ ის პოზიციები იყო გასაძლიერებელი, რომლებზეც ახალწვეულები თამაშობენ?**

— ჯერჯერობით ოთხი ფეხბურთელი დავიმატეთ, მაგრამ მსურს, რომ თითოეულ პოზიციაზე ორი ფეხბურთელი მაინც მყავდეს. ცხადია, კარგი იქნება თუ გუნდში კონკურენცია გაიზრდება.

— **18 თებერვალს „ამერს" ეთამაშებით. როგორია თქვენი აზრი ამ გუნდზე?**

— კარგი გუნდია, აგრესიული ფეხბურთი ეხერხება. ანთალიაში „ამერის" ერთი მატჩი ვნახეთ და ვცდილობთ, მომავალი მეტოქე კიდევ კარგად შევისწავლოთ.

— **„ამერი" თასის მფლობელია. ამ გუნდის მეოთხედფინალში დამარცხებისთვის „დინამოს" განსაკუთრებული პრემიალურები ექნება?**

— პრემიალურების დაწესება ჩემი საქმე არ არის. მხოლოდ გეტყვით, რომ გუნდი სათამაშოდ მზადაა და მოტივაცია, თავისთავად, თასის მოეთხედფინალური მატჩი იქნება.

შემდეგი ორი კითხვა ბუბა ტყავაძისა და ახალწვეული ფეხბურთელებისკენ იყო.

— **ჩერნიგორიელი ილია სპასოევიჩი დარჩება „დინამოში"?**

— ის კარგი ფეხბურთელია და, ორმხრივი სურვილი არის, რომ მან ჩვენთან ითამაშოს. საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე გარკვეული დეტალები დარჩა დასაზუსტებელი. ვფიქრობ, რომ ის „დინამოში" ითამაშებს. ორიოდ დღეში ამ ამბავსაც შეიტყობთ.

— **მეორე წრეში „დინამო" ისევ „ლოკომოტივზე" ითამაშებს თუ „ეროვნულზე" დაბრუნდება?**

— ისევ „ლოკომოტივზე" ვითამაშებთ, რასაც ფინანსური მიზეზი აქვს. ცხადია, ყველა გუნდისთვის უკეთესია „ეროვნულზე" თამაში, თანაც ახლა იქ მოედნის საფარიც ჩინებულია... „ეროვნული" სტადიონის ხელმძღვანელობისგან გარკვეული შეღავათები თუ გვექნება, ვნახოთ...

*დავით დილმელაშვილი*

— ბედნიერი ვარ, რომ „დინამოში" თამაშის საშუალება მაქვს. „დინამო" ხომ ყველა ქართველი ფეხბურთელისთვის საოცნებო გუნდია. ვეცდები, რომ ჩემი პოტენცია „დინამოში" სრულად წარმოვაჩინო.

*გიორგი ფეიქრიშვილი*

— მსურს, „დინამოსთან" ერთად, ყველა იმ მიზანს მივაღწიო, რომელიც ერთად დავისახეთ. ჩვენ თასის მოპოვებისა და ჩემპიონობის შანსები გვაქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ.

*მილოშ კრშკო*

— სასიამოვნოა, რომ ასეთი მდიდარი ტრადიციების გუნდში ვაგრძელებ თამაშს. ბედნიერი ვიქნები, „დინამოსთან" ერთად წლეულსვე თასსაც თუ ავიღებ და ჩემპიონის ტიტულიც მექნება.

*ნედ ზელიჩი*

— აქ ყველაფერი კარგია. თბილისსა და „დინამოში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ახლა მხოლოდ უახლოესს, სათასო მატჩზე ვფიქრობ და იმედია, წარმატებას მივაღწევთ. მერე კი ჩემპიონატიც განახლდება და „დინამოსთან" ერთად მხოლოდ პირველობისთვის ვიბრძოლებ.

**ძოზა ინასარიძე**

# ჩვენ შევხვდებით ყიფიანის ქუჩაზე

**სულ მალე** თბილისში ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის, დავით ყიფიანის სახელობის ქუჩა იქნება — გვამცნო ქალაქის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ტაბიძემ: დიდუბის ქუჩას, რომელიც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონსა და მუშტაიდის ბაღს შორის მდებარეობს, დავით ყიფიანის სახელი უნდა ეწოდოს. ინიციატივა ჩემგან მოდის, მე ფეხბურთის ქომაგი ვარ და პირადად დავით ყიფიანის დიდი გულშემატკივარიც ვიყავი. ეს საკითხი საკრებულოს სხდომაზე გავიტანეთ და დღე-დღეზე ალბათ დადებითად გადაწყდება. ამ საკითხზე ოჯახის წევრებთან და ვეტერან ფეხბურთელებთან გავიარეთ კონსულტაციები...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ვიტ ჯორჯია შეკრებას პოსტსაბჭოურად ამთავრებს

**თურქეთის** საკურორტო ქალაქ სიდეში შეკრებაზე მყოფი „ვიტ ჯორჯია" ტესტ-მატჩების სერიას განაგრძობს. ვეტერინარები გუშინ ვლადიკავკაზის „ალანიას" გაეჯიბრნენ და მე-10 წუთზე გატანილი გიორგი დათუნაიშვილის გოლით იმარჯვეს.

**„ვიტ ჯორჯია":** ბედიაშვილი (მიქაბერიძე 46), ა. კვახაძე (ადამაძე 46), პ. დათუნაიშვილი, ლომაია, ჯაფარიძე (კაიშაური 82), გ. დათუნაიშვილი (იმერლიშვილი 75), რაზმაძე (ბეჭვაია 75), კვალინაძე, სახოკია (კიკნაძე 46), ლუჭაშვილი (ბერიაშვილი 46), მელქაძე (ლიპარტია 67).

ვიტელებს თურქეთში კიდევ ერთი შეხვედრა აქვთ დაგეგმილი, 15 თებერვალს ბელარუსულ „ნაფტანს" გაეჯიბრებიან და მეორე წრისთვის მზადებას საქართველოში დაასრულებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



გიორგი დათუნაიშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფული ჩიხურასკენ, ჩიხურა ჭიათურისკენ



ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო — მთლად წყალწაღებულიც არ ყოფილა საჩხერის „ჩიხურა“ და მეორე წრეში პრობლემები ალბათ არ შეექმნება — კლუბის ხელმძღვანელობას კვლავ ეიმედება სპონსორ „ქართუ ბანკის“.
გუშინ „ჩიხურა“ პირველად შეიკრიბა თბილისში, „ნორჩი დინამოელის“ მოედანზე ჯერაც „ჩიხურას“ თავკაცმა ხვიჩა ქასრაშვილმა თორმეტი ფეხბურთელი ავარჯიშა. ეს ბიჭები პირველ წრეში უფრო „ჩიხურა 2“-ში თამაშობდნენ, თუმცა ვაშაკიძე, თავბერიძე, გვეტაძე თუ ბუცხრიკიძე ხშირად პირველ გუნდშიც ბურთაობდნენ.
„ჩიხურა“ სეზონს ვალის მოხდის მიზნით ჩაამთავრებს — ასეთი ხმები ისმოდა „ჩიხურადან“. მაგრამ, მთლად ასეც არაა საქმე და უფრო დაწვრილებით „ჩიხურას“ ვიცე-პრეზიდენტი კახა გელბახიანი გვესაუბრა...

— რა სახსრები აქვს ამჟამად „ჩიხურას“, მოახერხებს გუნდი უმაღლეს ლიგაში მონაწილეობას?

— სოლიდური დაფინანსება არ გვაქვს, მაგრამ ჩემპიონატიდან გამოთიშვაზე ლაპარაკიც არ ყოფილა — ვითამაშებთ და ანგარიშგასაწევი ძალაც ვიქნებით. ახლა თორმეტი ფეხბურთელი ვარჯიშობს, ხვალიდან კი ახლები დაგვემატებიან, რომლებსაც სეზონის ბოლომდე დავიტოვებთ.

— კერძოდ, რომლები?

— ზვიად სტურუა, სერგო ორბელაძე, რევაზ ქემოკლიძე, ჯაბა დვალი და გიორგი ქუცურუა „დინამოდან“. ასევე დავით სევასტოპულო და გიორგი სილაგავა „ამერიდან“. დინამოელთა დამატება უკვე გადაწყვეტილია, ამერელებისა კი ჯერ არა, თუმცა არა გვგონია, შეფერხებები იყოს: ყველა ფეხბურთელს განათხოვრებით ავიყვანთ.

— ასეთი მოთამაშეების დამატება საკმაო ფულს მოითხოვს...

— საჩხერის ბიუჯეტიდან თანხა გამოყოფილია. ამასთან, „ქართუ ბანკთან“ კვლავ მიმდინარეობს მოლაპარაკება, შესაძლოა, მათ კლუბის დაფინანსება გააგრძელონ. ეს რომც ვერ მოხერხდეს, რაიონის ბიუჯეტით მაინც მოვახერხებთ აღნიშნული ფეხბურთელების დამატებას.

— იქნებ ღიად ვთქვათ, რატომ იუარა „ქართუ ბანკმა“ კლუბის დაფინანსება?

— მიზეზი არ ვიცი და ვერ გეტყვით.

— როგორც გავიგეთ, სპონსორს მცირე დავალიანება დარჩა გუნდში...

— კი, თუმცა უმნიშვნელოა — დაახლოებით ოცი ათასი ლარი. ეს თანხა ალბათ დაიფარება.

— მწვრთნელად ხვიჩა ქასრაშვილი დარჩება?

— ეს არ არის გადაწყვეტილი. თავად ქასრაშვილი ფინანსურ მხარეს იმდენად არ აქცევს ყურადღებას, რამდენადაც კონტინგენტს. ხვალ ახალ ფეხბურთელებს დავიმატებთ და იმედია, ქასრაშვილი „ჩიხურაში“ დარჩება.

— საშინაო მატჩებს სად გამართავთ?

— ყველაზე რეალური ჭიათურის ვარიანტია. ამჟამად იქ თოვლია და თუ არ გამოიდარა, გორის „ქართლის“ სტადიონზე ვითამაშებთ. გუნდი კი თბილისში იცხოვრებს, „ნორჩი დინამოელის“ მინდორი სავარჯიშოდ ოთხთვიანი იჯარით ავიღეთ.

— თუ ასეა, თბილისში არ გერჩივნათ თამაში?

— კი, მაგრამ ჩვენ გვინდა, საჩხერელი გულშემატკივარი არ მოვწყვიტოთ ფეხბურთს — ჭიათურა მეზობელი რაიონია და ხალხს ფეხბურთის ყურება იქ შეეძლება.

კახა გელბახიანის საუბრიდან გამომდინარე, კლუბის „ქართუ ბანკთან“ თანამშრობლობის საკითხი ამ დღეებში უნდა გადაწყდეს. მანამდე კი ქასრაშვილსაც შევეკითხეთ, აპირებს თუ არა გუნდში დარჩენას, თუმცა ზუსტი პასუხი ვერ მივიღეთ — თუ ასეთი მდგომარეობა იქნება და ფეხბურთელები არ მეყოლებიან, ვერ დავრჩები...

**ლუკა თალაკვაძე**



# ზაპოროჟიელებმა ციმაკურიძე მოიწონეს

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი გიორგი ციმაკურიძე უახლოეს დღეებში ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ გააფორმებს კონტრაქტს. როგორც ზაპოროჟიელთა მთავარმა მწვრთნელმა სერგეი იაშენკომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ციმაკურიძემ კარგად ითამაშა ტესტ-მატჩებში და გუნდს აუცილებლად გააძლიერებს. მწვრთნელი დაინტერესებულია ქართველი ფეხბურთელის შეძენით. მისივე თქმით, მხოლოდ სამუშაო შეთანხმების გაფორმებაღაა დარჩენილი.

შეგახსენებთ, რომ ციმაკურიძემ სეზონის დასაწყისი ალჩევსკის „სტალში“ გაატარა და ზამთრის პერიოდში გუნდმა ტრანსფერზე დააყენა.

**მიხეილ ქორქოლიანი**

# ტორპედო სამი ტუზით იგებს

**ქუთაისის** „ტორპედოს“ და კომპანია „ვისოლის“ ურთიერთობაში გაურკვევლობაა, თუმც მანამდე რიონისპირელებს ძველი მეგობარი „სამი ტუზი“ უდგას გვერდში და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას უწევს. როგორც კლუბის პრესსამსახურის უფროსმა გოგა მინდელმა გვაცნობა, „სამი ტუზის“ დახმარებით მწვრთნელ-ფეხბურთელებს ხელფასები დაურიგდათ და გუნდი ნორმალურად აგრძელებს მზადებას მეორე წრისთვის.

საღორიის ბაზაზე დაბანაკებულმა „ტორპედომ“ მორიგი ტესტ-მატჩი თანაქალაქელ „უნივერსიტეტთან“ გამართა და 5:0 მოუგო. ბურთები თორნიკე დანელიამ (2), ზვიად ქუთათელაძემ (2) და მანუჩარ წიქარიშვილმა გაიტანეს.

„ტორპედო“: ქვილითაია, ფარულავა, გურული, კილასონია, იობაშვილი, დოლონაძე, ლალაძე, კვეტენაძე, ნადირაძე, ჭედია, მ. ლონლაძე.

შეცვლაზე შევიდნენ: ხურცილავა, ბარაბაძე, ქუთათელაძე, კირკიტაძე, დანელია, კიკვიძე, წიქარიშვილი.

„ტორპედოს“ შემადგენლობაში განსაკუთრებული ცვლილებები არ არის. ორი ახალი ფეხბურთელი — დანელია და კიკვიძე ადგილობრივი სკოლის აღზრდილები არიან. როგორც მინდელმა გვითხრა, „უნივერსიტეტთან“ მატჩში განსაკუთრებით დანელია გამოირჩა.

**მიხეილ ქორქოლიანი**

# დემე: დისიდენტი თუ მარიონეტი?
## სურკისმა დემეტრაძეს ესპანეთი შეახსენა




გიორგი დემეტრაძეს უკრაინაში ბასკური ამბებიც ამოუქექეს

დონეცკის „მეტალურგის“ და საქართველოს ნაკრების ფორვარდმა გიორგი დემეტრაძემ უკრაინულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა — უკრაინის კონსტიტუციით, ქვეყანაში კანონიერად მომუშავე უცხოელებს არანაირი შეზღუდვები არ აქვთ და, შესაბამისად, უკრაინაში უცხოელ ფეხბურთელებზე ლიმიტი არ უნდა დაწესდესო — ეს ადრეც გაუწყეთ და მერე ისიც გაცნობეთ, რომ „დემეტრაძის საქმე“ ფეხბურთში მოსაქმე ოლიგარქის, დონეცკის „შახტარის“ პატრონის რინატ ახმეტოვის პოზიციებს აძლიერებს, რომელიც სურკისების კლანს — უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ გრიგორი სურკისს და კიევის „დინამოს“ პრეზიდენტ იგორ სურკისს უპირისპირდება.
უკრაინელმა მედიამ კი ხელები დაიკაპიწა და სასამართლოში დემეტრაძის შანსებზე უკრაინულ ფეხბურთში მოსაქმეთ და იურისტებს დაეკითხა

*ანატოლი პოპოვი, უკრაინის პროფესიული ფეხბურთის ლიგის აღმასრულებელი დირექტორი:* ინგლისშიც კი მხოლოდ მაღალკვალიფიციური ლეგიონერები თამაშობენ, რომელთაც თავიანთი ქვეყნის ნაკრებში მატჩების 75 პროცენტი აუთამაშიათ და ამას ბრიტანული კანონმდებლობაც ითვალისწინებს. ახლა ჩვენი პროფლიგის პრეზიდენტი რავილ საფიულინი, ვინც პარლამენტის დეპუტატიცაა, კანონში ცვლილებების შესატანად მუშაობს და ამას პარლამენტსაც გააცნობს. ამ ცვლილების თანახმად, უკრაინაც დააწესებს ბარიერს ლეგიონერებისთვის. ისე კი, უნდა ვაღიაროთ, რომ თეორიულად დემეტრაძეს სასამართლოში საქმის მოგება შეუძლია.

*გრიგორი სურკისი, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:* ეჭვიც არ მეპარება, რომ დემეტრაძე პროცესს წააგებს. უკრაინაში მოედანზე გასვლა რვა ლეგიონერს შეუძლია და დემეტრაძეს არავინ უკრძალავს ამ რვა ლეგიონერში მოხვედრას. დემეტრაძეს აქვს უკრაინაში მუშაობის უფლება. ზუსტად ამგვარ სიტუაციაში აღმოჩნდა დემეტრაძე ესპანეთში, სადაც ხშირად არ უწევდა „სოსიედადში“ თამაში, რადგან ძირითად შემადგენლობას ვერ ქაჩავდა. დონეცკის „მეტალურგმა“ ძალიან ბევრი ლეგიონერი მიიწვია და ახლა არ იცის, რა უქნას მათ. დემეტრაძე რვა ლეგიონერში რომ ვერ ხვდება, ეს მხოლოდ მისი პრობლემაა. დარწმუნებული ვარ, სასამართლოს ჩვენ მოვიგებთ.

*იგორ სურკისი, კიევის „დინამოს“ პრეზიდენტი:* დემეტრაძეს კარგ ადამიანად და ნიჭიერ ფეხბურთელად ვიცნობ, ამიტომ ვვარაუდობ, რომ მან სასამართლოს საკუთარი ინიციატივით არ მიმართა. მეტიც, დარწმუნებული ვარ, მას ეს „მეტალურგის“ ვიცე-პრეზიდენტმა დმიტრი სელიუკმა აიძულა, რომელიც კლუბს უცხოეთიდან მართავს. მას ჩვენს ფეხბურთში წყლის ამღვრევა სურს.

*ალექსანდრ ხნიდევიჩი, იურისტი:* „დემეტრაძის საქმეში“ შანსები 50/50-ზეა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, კანონმდებლობას საკუთარ ინტერესებს ვინ როგორ მოარგებს.

*ალექსანდრ შინდრუკი, იურისტი:* საჩივარს საკმარისი საფუძველი არ გააჩნია და, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილება უპერსპექტივოა.

**ნიკა ჯორჯაძე**

# უეფას თასი 2006-07. 1/16 ფინალი. პირველი მატჩები

დღეს

ლევერკუზენი (გერმანია) — ბლექბერნი (ინგლისი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) — ალკმაარი (ჰოლანდია)
ჰაპოელი (ისრაელი) — რეინჯერსი (შოტლანდია)
ლივორნო (იტალია) — ესპანიოლი (ესპანეთი)
შახტარი (უკრაინა) — ნანსი (საფრანგეთი)
ბორდო (საფრანგეთი) — ოსასუნა (ესპანეთი)
ვერდერი (გერმანია) — აიაქსი (ჰოლანდია)
ცსკა (რუსეთი) — მაკაბი (ისრაელი)
ბენფიკა (პორტუგალია) — დინამო (რუმინეთი)
აეკ (საბერძნეთი) — პსჟ (საფრანგეთი)

ხვალ

სტიაუა (რუმინეთი) — სევილია (ესპანეთი)
ბრაგა (პორტუგალია) — პარმა (იტალია)
სპარტაკი (რუსეთი) — სელტა (ესპანეთი)
ზულტე-ვარეგემი (ბელგია) — ნიუკასლი (ინგლისი)
ლანსი (საფრანგეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

*ჰოლანდიური „ფეიენოორდის“ დისკვალიფიკაციის გამო ინგლისური „ტოტენჰემი“ უკვე მერვედფინალშია*


AFP

ჰოლანდიელმა ვაი-ქომაგებმა მერვედფინალში ინგლისური „ტოტენჰემი“ გაიყვანეს

# გაზაფხული ვლადიკავკაზში გაიქცა: იქ თბილა, აქ ცივა

**ბუქარესტის** „სტიაუა“ ხვალ უმასპინძლებს უეფას თასის მფლობელ „სევილიას“, რომელსაც შარშან უეფას თასის ფინალში შეხვდებოდა, „მიდლსბროსთან“ დრამატულ ნახევარფინალში რომ არ წაეგო...

შარშან ასე იყო: „სტიაუამ“ შინ 2:0 მოუგო „მიდლსბროს“ და საპასუხო მატჩში 1:0-ს უგებდა, მაგრამ სტივენ მაკლარენის გუნდმა „რივერსაიდზე“ ოთხი გაუტანა ბუქარესტელებს და ფინალში გავიდა, სადაც „სევილიასგან“ ალიყური იგემა — 0:4.

„წილისყრამ ამ ეტაპზე „სევილიას“ რომ შეგვახვედრა, ბევრ გულშემატკივარს გაუხარდა კიდეც, მაგრამ ვფიქრობ, ხუანდე რამოსის გუნდი ერთ-ერთი ყველაზე რთული მეტოქეა“ — განაცხადა „სტიაუას“ მწვრთნელმა კოზმინ ოლაროიუმ.

რუმინული გუნდის გამთამაშებელი ნიკოლაე დიკა „სევილიასთან“ ორივე მატჩს გამოტოვებს ტრავმის გამო.

სევილიელებმა კი პრიმერადივიზიონში პირველი წრე პირველ ადგილზე დაასრულეს, მაგრამ ამჟამად ლიდერ „ბარსელონას“ სამი ქულით ჩამორჩებიან.

„ფეხბურთის გუნდი მანქანა არ არის და თავისი აღმა-დაღმა სვლები აქვს. მართალია, ისე ვერ ვთამაშობთ, როგორც სეზონის დასაწყისში, მაგრამ ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ“ — განაცხადა ხუანდე რამოსმა.

ესპანელების მხრიდან ნახევარმცველ რენატოს და მცველების, დრაგუტინოვიჩისა და ნავაროს თამაშია საეჭვო, რადგან ტრავმები აწუხებთ.

ბრემენის „ვერდერი“, რომელმაც ბუნდესლიგაში ზედიზედ ორი მატჩი წააგო, ამსტერდამის „აიაქსს“ უმასპინძლებს.

— „აიაქსთან“ მატჩში ვნახავთ, გვასწავლა თუ არა რამე ბოლო ორმა მარცხმა — თქვა ბრემენელთა მთავარმეგოლე მიროსლავ კლოზემ.

თომას შააფი კი იმედოვნებს, რომ ნახევარმცველი დანიელ იენსენი ტრავმის მოშუშებას მოასწრებს და ითამაშებს.

აიაქსელებს დაშავებული მცველები, ემანუელსონი, გრიგერა და ვერმაელენი დააკლდებიან.

აქაოდა, მოსკოვში ცივაო, უეფას თასის 2005 წლის მფლობელი მოსკოვის ცსკა ვიგოს „სელტას“ ვლადიკავკაზში დაუხვდება.

მაგრამ არ ცივა „სპარტაკისთვის“, რომელიც ჰაიფას „მაკაბის“ რუსეთის დედაქალაქში, „ლუჟნიკიზე“ უმასპინძლებს.

იტალიური „ლივორნო“ უმაყურებლოდ ეთამაშება „ესპანიოლს“, რადგან სიცილიაზე ამას წინათ მომხდარი ამბების გამო იტალიაში რამდენიმე სტადიონზე გულშემატკივრის შეშვება აკრძალეს. მათ შორის მოხვდა ლივორნოს „არმანდო პიკიც“.

„ეს ისტორიული მომენტია ჩვენი გუნდისთვის და მთელი ქალაქისთვის და ძალიან სამწუხაროა, რომ გუნდს ქომაგების მხარდაჭერა დააკლდება“ — დაიჩივლა მწვრთნელმა დანიელე არიგონიმ.

პოლ ლე გუენის პსჟ კი ათენის აეკ-ს უმასპინძლებს. ფრანგულ კლუბს ბერძნებთან აქამდე გამართულ ხუთ შეხვედრაში არ წაუგია და მეტიც, გოლიც კი არ გაუშვია.

გერმანული „ლევერკუზენი“ მარკ ჰიუზის „ბლექბერნს“ ორი ტრავმირებული მცველის, როკე ჟუნიორისა და ჟუანის გარეშე ეთამაშება. გამორიცხული არ არის, გერმანელებს კაპიტანი კარსტენ რომელოც დააკლდეთ, რომელმაც შაბათს „ვოლფსბურგთან“ კი ითამაშა, მაგრამ ტრავმა აწუხებს.

„ბლექბერნი“ იმედოვნებს, რომ ნახევარმცველი დევიდ დანი სალევერკუზენოდ გამოკეთდება. დანი „ევერტონთან“ შეხვედრაში დაშავდა. რობი სევიჯი და ანდრე ოიერი კი ნამდვილად არ იქნებიან.

დონეცკის „შახტარს“ „ნანსთან“ შეხვედრაში არ ეყოლება მცველი რაზვან რატი და ნახევარმცველი სერგეი ტკაჩენკო...

„ბორდოსა“ და „ოსასუნას“ მატჩში მასპინძელთაგან ვერ ითამაშებენ ფორვარდი ჟან კლოდ დარშევილი, ნახევარმცველები ჟულიენ ფობერი, ფრანკ ჟურე, ვლადიმირ შმიცერი და სტეფან დალმა. მიუხედავად ამისა, ბორდოელებმა ამ ფეხბურთელების გარეშე ამ უქმეებზე „მარსელს“ მოუგეს.

„ალკმაარის“ კაპიტანი, ქართველი ფორვარდი შოთა არველაძე გრიპის გამო ვერ ითამაშებს სტამბოლში „ფენერბაჰჩესთან“, რომელიც „ტრაბზონსპორში“ თამაშისას არაერთხელ გაუმწარებია...

**ვაჟა ხუციშვილი**

# მე აფრიკა რა ყოფილა

## პარეირა ციხეს ბეწვზე გადაურჩა



**სამხრეთ** აფრიკის ნაკრების მწვრთნელ კარლოს ალბერტო პარეირას ბოლოს და ბოლოს აღირსეს სამუშაო ვიზა.

ბრაზილიელს ვიზას უგვიანებდნენ, რის გამოც ფეხბურთის ასოციაცია და შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთმანეთს შეასკდნენ. მინისტრი დაპატიმრებით ემუქრებოდა პარეირას და მის თანაშემწე ჟაირო ლეალს, თუკი ისინი ჩემპიონატის თამაშებს დაესწრებოდნენ, რადგან ეს არალეგალურ შრომას გაუტოლდებოდა.

პარეირა თანაშემწესთან ერთად ორი კვირის წინ ჩავიდა ქვეყანაში ტურისტული ვიზით. ნაკრების სამდღიანი შეკრებაც მოაწყო და ჩემპიონატის ორ-სამ მატჩსაც დაესწრო. სწორედ ამის გამო ატეხა აურზაური შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ბრაზილიელებს დაპატიმრებით დაემუქრა.

სამხრეთ აფრიკაში სამუშაო ვიზის მიღება ძალიან ძნელია. სამინისტრო უცხოელის წარსულში იქექება და დეტალურ ცნობებს აგროვებს ყველა ქვეყნიდან, სადაც კი უმუშავია ამა თუ იმ ადამიანს, რომელიც შრომის უფლებას ითხოვს. გამონაკლისი არც კარლოს ალბერტო პარეირა ყოფილა. მისი თანაშემწე კი კვლავაც უვიზოა და ტურისტად რჩება.

შეგახსენებთ, რომ პარეირამ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ასოციაციასთან და დღეში დაახლოებით 8 000 დოლარს მიიღებს. მან გუნდი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისთვის განსაკუთრებულად უნდა მოამზადოს — „ბაფანა ბაფანა“ ხომ მუნდიალის მასპინძელია.

**ვაჟა ხუციშვილი**

## მიშელ დერ ზაკარიანი

**„ნანტის“** მწვრთნელ ჟორჟ ეოს „ვალანსიენთან“ 2:5 მარცხი არ აპატიეს და მოხსნეს. გუნდს დროებით უთავკაცებენ ეოს თანაშემწე მიშელ დერ ზაკარიანი და კლუბის სპორტული დირექტორი იაფეტ ნდორამი. ყოფილმა ფეხბურთელმა ნდორამმა შვიდი სეზონი (1990-1997) ითამაშა „ნანტში“ და კარიერის დასრულების შემდეგ დირექტორი გახდა.

„მე-19 ადგილზე ვართ და რალაც უნდა ვიღონოთ, თორემ გავარდნას ვერ გადავურჩებით. ამიტომაც გადავწყვიტე მწვრთნელის შეცვლა. ეოს კლუბში სხვა საქმეს მოვუნახავთ“ — განაცხადა ნანტელთა პრეზიდენტმა რუდი რუსილონმა.

## ფობერის ცხვირი და გოლი

**„ბორდოს“** და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა ჟულიენ ფობერმა „მარსელთან“ მატჩში ცხვირი გაიტეხა. მან მეორე ტაიმის 75-ე წუთზე გაიტანა გოლი და მასპინძლებმა მოიგეს, მაგრამ მხოლოდ თამაშის შემდეგ გაირკვა, რომ თითქმის ერთი საათის განმავლობაში ცხვირგატეხილი თამაშობდა.

ფობერი თანაგუნდელ მარიან შამახს დაეჯახა პირველ ტაიმში და ძვლის დაზიანების მიზეზიც ეს ყოფილა. ექიმები არკვევენ, თუ რამდენი ხანი დასჭირდება მის გამოჯანმრთელებას.

## ცაციას დაბრუნება

**მადრიდის** „რეალის“ ბრაზილიელმა რობერტო კარლოსმა ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში განაახლა. იგი „ბეტისთან“ სათასო მატჩში დაშავდა — წვივი იტკინა — და ერთი თვე მკურნალობდა. რობერტო კარლოსი, სავარაუდოდ, მომდევნო ტურის მატჩში ითამაშებს, როცა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდელები სწორედ „ბეტისს“ უმასპინძლებენ.

# გერმანული ეგოიზმი ინგლისელის გამო: მიხაელ, რატომ გჯობია ლამპარდი?!

გერმანიის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის" ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი სადღეისოდ ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია მსოფლიოში — თვეში 130 ათას გირვანქას იღებს. ბალაკი ახლა ტრავმირებულია — შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩში (3:1) დაშავდა და გერმანულმა „ტაგეშპილმაც" ამით ისარგებლა — მიხაელს ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა...



## ჩელსით ბედნიერმა ბალაკმა ლონდონს ვერაფერი გაუგო

— ჰერ მიხაელ, აითვისეთ ინგლისური ენა?

— ყოველდღე მიწევს ინგლისურად საუბარი და ამ მხრივ ნელ-ნელა მივიწევ წინ. ვფიქრობ, მალე პრობლემა აღარ მექნება.

— რატომ გაკრიტიკებენ ინგლისში ამდენს?

— ინგლისში მაკრიტიკებენ?! ეს ალბათ გერმანიაში ხდება, თორემ ინგლისში რომ მართლა ასე იყოს, აუცილებლად გავიგებდი.

— კი მაგრამ, ინგლისურმა გაზეთებმა შემთხვევით ნაყიდი გიწოდეს...

— თუ ზუსტად მახსოვს, მგონი, მხოლოდ ერთი საგაზეთო ინტერვიუ მივეცი ლონდონში, ამ მხრივ გუნდში შეზღუდვებია და ეს ყველა მოთამაშეზე ვრცელდება. ამიტომ ინტერვიუებს მხოლოდ „ჩელსის" ვებგვერდს ვაძლევთ ხოლმე. რაც შეეხება ინგლისურ გაზეთებს, ბევრს ვერაფერს გეტყვით...

— ინგლისელი ჟურნალისტებისგან მხოლოდ თავაზიანი კითხვები მოდის?

— სულაც არა. ისე კი, შეიძლება, ჯერ მართლაც ვერ ვიპოვე საერთო ენა ლონდონურ მედიასთან — ალბათ იმიტომ, რომ იქაურ ჟურნალისტებს არ ვიცნობ.

— და მხოლოდ ესაა იმის მიზეზი, რომ იქაური მედია თქვენზე ცუდად წერს?

— სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, ლონდონში რა ხდება. იქ ბევრი ყვითელი გაზეთია, რომლებიც რატომღაც მოთამაშეთა ენით საუბრობენ, არადა, „ჩელსის" ფეხბურთელები გაზეთებთან იშვიათად ვკონტაქტობთ. თუნდაც დიდიე დროგბა ვახსენოთ, რომელმაც თურმე საშინლად გამაკრიტიკა. დიდიემ მაშინვე მითხრა, რომ ეს სულელური ჭორი იყო. საერთოდ, ჩემ მიმართ ნეგატიურ განწყობასაც ისე კარგად ვიტან, როგორც პოზიტიურს.

— ანუ ის სურათი, რომელსაც ხატავენ, არასწორია?

— ჩემი აზრით, ლონდონში ხშირად საუბრობენ იმაზე, რაც არ არსებობს. მე „ჩელსიში" გადასვლით მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ — სწორი ნაბიჯი გადავდგი, ვიპოვე სწორედ ის, რასაც ვეძებდი. „ჩელსი" ყოველთვის მოსაგებად იბრძვის, ზედიზედ ორჯერ გახდა ჩემპიონი, რაც ბევრ ინგლისელს არ მოსწონს. რომან აბრამოვიჩი ის კაცია, ვინც ბევრ ფულს ხარჯავს, მისგან ბევრს ელიან და ბევრსაც აკრიტიკებენ.

— ცოტა ხნის წინ ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, რომ „ჩელსიში" ბალაკის ადგილი არ არის. თქვენ კი ამბობთ, რომ თქვენი ადგილი იპოვეთ. რა არის ეს ადგილი?

— მე ცენტრალური ნახევარმცველი ვარ. ჟოზე მაურინიუს აზრით, ეს გუნდის უძლიერესი პოზიციაა და ამას ყველა ადასტურებს...

— „ბაიერნსა" და გერმანიის ეროვნულ ნაკრებში ლიდერი იყავით, „ჩელსიში" კი ასეთი ფრენკ ლამპარდია — „ჩელსის" თამაში სწორედ მასზეა აწყობილი და არა თქვენზე.

— არ შეგეწინააღმდეგებით... მაგრამ „ჩელსიში" თავს მეც კარგად ვგრძნობ. ფრენკი „ჩელსის" საყრდენია და ამას ნებისმიერი აღიარებს. ახალმა მოთამაშემ კი ჯერ გუნდი და მისი თამაშის სტილი უნდა შეისწავლოს კარგად. დანარჩენი მერე მოვა...

— თქვენ ჯერჯერობით მხოლოდ ერთ-ერთი რიგითი ჩელსელი ხართ?

— დიახ, „ჩელსის" საუკეთესო ფეხბურთელთა შორის ერთ-ერთი მეც ვარ.

— გაგიჭირდათ ბუნდესლიგიდან პრემიერლიგაში გადასვლა?

— ასე ვერ ვიტყოდი. გადაწყობა ნამდვილად მჭირდება, მაგრამ კარგი ფეხბურთელი ყველა გუნდში მოძებნის თავის ადგილს.

— ინგლისის ასი საუკეთესო ფეხბურთელის რეიტინგში, თქვენ 94-ე ადგილზე ხართ, ლამპარდი მეოთხეზე. ეს არ გაბრაზებთ?

— ეს რეიტინგი არც მინახავს და არც ის ვიცი, რის საფუძველზე მოხდა შერჩევა.

— კრიტიკოსები იმასაც ამბობენ, რომ პრემიერლიგა თქვენთვის ძალიან სწრაფია...

— მართლა? ტემპის მიმართ არანაირი პრობლემა არ მაქვს. ცხადია, ინგლისში ძალიან სწრაფი ფეხბურთია, რაც რამდენიმე ფაქტორისგან არის გამოწვეული, მათ შორის ფანებისგანაც. ისინი ძალიან პრეტენზიულები არიან, შეცდომებს გპატიობენ, მაგრამ ეფექტური თამაში და გოლები უნდათ. მეტოქეც ასე ცდილობს თამაშს, თუ ბურთი მათ აქვთ, მაშინვე რაღაც ხდება... ასე მიდი-მოდის თამაში, რაც, საერთო ჯამში, ტემპს აჩქარებს.

— „ბაიერნისგან" განსხვავებით, „ჩელსიში" ბურთთან არცთუ ისე ხშირი კონტაქტი გაქვთ...

— შეიძლება, ასეც იყოს, თუმცა სტატისტიკის მიხედვით, ადრინდელზე ბევრად მეტს დავრბივარ. ვფიქრობ, მალე გუნდს ახალი მოთამაშისადმი ნდობაც გაეზრდება და მეც ბურთთან მეტ დროს გავატარებ. ახლა კი ასეა: თამაშის გახსნა ერთ ფეხბურთელს შეუძლია და ბურთიც ერთია...

— თამაშის გამხსნელი კი ლამპარდია და არა თქვენ...

— უჩვეულო და უცნაური ის იქნებოდა, რომ ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო. ფრენკი სული და [illegible] თამაშითაც კმაყოფილია.

— სიმართლე სიმართლეა: მწვრთნელს თქვენ ძალიან სჭირდებოდით და წაგიყვანათ კიდეც...

— გეთანხმებით.

— რომელი უფრო ბედნიერი გახდა: „ბაიერნი" უთქვენოდ, თუ „ჩელსი" თქვენით?

— ბოლოს და ბოლოს, ველირსე ისეთ კითხვას, რომელზე პასუხიც იოლია: „ჩელსიში" უხარიათ, რომ მე იქ ვარ.

— დაბადების დღეზე თითქმის ყველა თანაგუნდელი დაპატიჟეთ სახლში...

— დიახ, კარგი საღამო გამოვიდა და ამან ძალიან გამახარა.

— და „ბაიერნზე" აღარ ფიქრობთ?

— ბევრი თამაში არ მინახავს. ისე კი, ჩემპიონთა ლიგაში ძლიერად თამაშობს, ბუნდესლიგაში კი უჭირს. ძალიან გამიკვირდა, ფელიქს მაგათი ასე უცებ რომ გაათავისუფლეს — მან ბევრი ტიტული მოიპოვა, რაც მანამდე ვერავინ შეძლო.

— ახლა კი „ბაიერნში" ოტმარ ჰიცფელდია...

— ამანაც ძალიან გამაკვირვა.

— ჰიცფელდის დაბრუნება სწორი ნაბიჯი იყო?

— „ბაიერნის" მენეჯერ ული ჰოენესს ვიცნობ, ის ისეთი ადამიანი არაა, რამე ვერ გათვალოს — ულის ამ ნაბიჯის ახსნა ექნება.

— ახლახან ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, რომ თქვენ იმაზე დიდი სიცარიელე დატოვეთ „ბაიერნში", ვიდრე ელოდა. ამან როგორ იმოქმედა თქვენზე?

— ეგოისტი არ ვარ. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა ვინმეს ენატრები. „ბაიერნმა" კი აქამდეც ბევრჯერ დაამტკიცა, რომ სიცარიელის შევსება შეუძლია.

— რატომ ასე დიპლომატიურად?

— ეს ჩემი აზრია.

— „ბაიერნში" ყველაფერი რიგზე ვერ არის...

— სამწუხაროდ, ეს მეც შევიტყვე

# ვედრება ბურთით

## სელესტინ ბაბაიაროს ზემოდან გარდაცვლილი ძმა დაჰყურებდა



სელესტინ ბაბაიარო (მარჯვნივ) „ლივერპულთან" მატჩში

**ერთი** შეხედვით, რა არის გასაკვირი? შაბათს პრემიერლიგაში „ნიუკასლ იუნაიტედმა" „ლივერპულს" 2:1 რომ მოუგო, „კაჭკაჭების" შემადგენლობაში ნიგერიელი სელესტინ ბაბაიაროც თამაშობდა. აბსოლუტურად ჩვეულებრივი ამბავია...

უფრო სწორად კი, ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა: თამაშის წინა დღეს ბაბაიაროს უმცროსი ძმა გარდაიცვალა. ბუნებრივია, ასეთ ტრაგიკულ წუთებში ადამიანთა უმეტესობა საქმეზე ფიქრს ვერ ახერხებს, მაგრამ ბაბაიარო სხვა ყალიბის კაცი ყოფილა. გაოცდებით და, მან განაცხადა, რომ მატჩმა მძიმე სულიერი მდგომარეობა შეუმსუბუქა კიდეც.

„დარწმუნებული ვარ, კენედის გაუხარდებოდა, იმ დღეს მოედანზე რომ დავენახე — უთხრა 28 წლის ფეხბურთელმა გაზეთ „სანის" კორესპონდენტს — უნდა მეთამაშა თუ არა, მთელმა ოჯახმა ვიმსჯელეთ და საბოლოოდ გადავწყვიტეთ, ეს მისი ხსოვნის საპატივცემულოდ გამეკეთებინა. თავის იძულება ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ვიგრძენი, რომ ვალდებული ვიყავი და ძალები მოვიკრიბე".

26 წლის კენედი ბაბაიარო პარასკევს ტუბერკულიოზისგან გარდაიცვალა.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა განაგრძო: „დიდი ბედნიერებაა, შედეგიც საჩვენო რომ გამოვიდა, რადგან ყველაფერი, რასაც იმ საღამოს მოედანზე ვაკეთებდი, მისი ხსოვნისთვის იყო. შაბათს „ნიუკასლის" ღირსებას მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ძმისთვის ვიცავდი. მიყურებდა ხალხი და მათგან მხოლოდ რამდენიმემ იცოდა, რაც მოხდა ჩემს ცხოვრებაში. უმძიმესი წუთები გადავიტანე. დიდი მობილიზაცია დამჭირდა, მაგრამ ამაში მასზე ფიქრი დამეხმარა. რწმენა იმისა, რომ ჩემი ძმა ზემოდან მიყურებდა, ტვირთს მიმსუბუქებდა კიდეც".

თამაშის მერე სელესტინ ბაბაიარო საგანგებოდ შეაქო ნიუკასლელთა მწვრთნელმა გლენ როედერმა, ხოლო გუნდის კაპიტანმა კირონ დაიერმა საგანგებო სიტყვაც კი თქვა.

საქმე ის გახლავთ, რომ ბაბაიარო „კაჭკაჭთა" გუნდში ორი წლის წინ „ჩელსიდან" გადავიდა. იქ, ლონდონში მან 197-ჯერ ითამაშა და 8 გოლი გაიტანა, აქ, ნიუკასლში კი ფეხი მაინცდამაინც ვერ მოიკიდა, რის გამოც, თურმე ადგილობრივი ქომაგები მის გულითადობასა და თავდადებას ეჭვქვეშ აყენებდნენ.

„მას ძმა გარდაეცვალა, მაგრამ ემოციებს სძლია და ითამაშა. განა ამით მისი მებრძოლი სული მთლიანად არ არის გამოხატული?!" — იკითხა დაიერმა.

**პაპუნა ძიძია**

# ელიზაბეტის შარით დალუპული გუსი





# ჰიდინკის შავი საქმე პედოფილიით დაიწყო

**ჰოლანდიის** ქალაქ დენ ბოსხში გრძელდება გუს ჰიდინკის სასამართლო პროცესი — რუსეთის ნაკრების თავკაცს გადასახადების დამალვაში ადანაშაულებენ. პროცესზე გაირკვა, თუ საიდან დაიწყო ეს ყველაფერი.

შევახსენებთ საქმის არსს — 2002-2003 წლებში ჰიდინკი გადასახადებს არ უხდიდა ჰოლანდიას იმის საფუძველზე, რომ ბელგიურ ქალაქ აზელში ცხოვრობდა. არადა, აღმოჩნდა, რომ რუსეთის ნაკრების მწვრთნელი აღნიშნულ პერიოდში თვალითაც არ უნახავთ აზელში. მიზეზი, თუ რატომ აირჩია ჰიდინკმა ბელგიური ქალაქი, მარტივია — ამ ქვეყანაში შედარებით ნაკლებია გადასახადი.

ეს იმდენად მიმზიდველი ყოფილა, რომ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ (ჰიდინკის სამხრეთ კორეა მეოთხე ადგილზე გაიყვანა) მწვრთნელს დაურეკა მისმა ადვოკატმა სიმონ ვან დენ ბომენმა და აზელში სახლის ყიდვა შესთავაზა. ჰიდინკმა იფიქრა და დათანხმდა. აზელიდან ეინდჰოვენამდე, სადაც პსვ-ში მწვრთნელად უნდა ემუშავა, 25 კილომეტრია. კორეაში მოხვეჭილი ფულიდან მილიონ 462 000 ევრო თავისი ქვეყნის ბიუჯეტში უნდა გადახდა, ბელგიაში კი ეს თანხა 219 ათასი იქნებოდა. სხვაობა, როგორც ხედავთ, აშკარად დიდია.

აზელში დარეგისტრირებულმა გუს ჰიდინკმა რამდენიმე ბელგიური ჟურნალიც გამოიწერა. მაგრამ როგორც ბელგიური, ისე ჰოლანდიური კანონებით, რეგისტრაცია საკმარისი არაა — უნდა ცხოვრობდე ანუ ფიზიკურად უნდა იმყოფებოდე აღნიშნულ მისამართზე. ჰიდინკს კი აზალ სახლში თურმე ავეჯიც არ ჰქონდა. მწვრთნელის მეუღლე ელიზაბეტმა კატეგორიულად იუარა აზელში გადასვლა.

„არჩევანის წინაშე დავდექი: ან აზელი, ან ელიზაბეტი" — უთქვამს ჰიდინკს. მისი ნათქვამი სასამართლოზე პროკურორმა გაახმოვანა.

„საგადასახადო ტრიუკი", პირობითად ასე დავარქვათ იმას, რის შესრულებასაც აპირებდნენ ჰიდინკი და მისი ადვოკატი — ეს ტრიუკი ჰოლანდიაში პოპულარულია და აქამდე არაერთს გამოუყენებია. შანსი იმისა, რომ გადასახადების ამკრეფნი ამას ამოქექავდნენ, ძალიან მცირე იყო, მაგრამ რუსეთის ნაკრების ამჟამინდელ მწვრთნელს არ გაუმართლა.

ახლა კი იმაზე, თუ როგორ მოიხარშა მთელი ეს აჯაფსანდალი.

ვინ იფიქრებდა, რომ პსვ-ის ერთ-ერთი ფანი ტელეკომპანია RTL-თან საუბარში დაიწუწუნებდა: „ჩემი საყვარელი გუნდის მწვრთნელი უმეტეს დროს ამსტერდამში რატომ ატარებს?!"

ამ ამბიდან რამდენიმე დღეში პსვ-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორ ფონ სპორენს ჰიდინკის ადვოკატ სიმონ ვან დენ ბომენისთვის უკითხავს: „რად გინდათ სახლი ბელგიაში, თუკი მწვრთნელი უმეტესად ამსტერდამშია?"

რა იცოდა ფინანსურმა დირექტორმა, რომ მის სატელეფონო საუბრებს პოლიცია უსმენდა, რადგან პედოფილიაში იყო ეჭვმიტანილი. ფანისა და ფონ სპორენის თითო-თითო წინადადებამ პოლიციას გამოძიებისკენ უბიძგა. სატელეფონო საუბრების მოსმენა გააგრძელეს, ელექტრონული ფოსტის შემოწმებაც დაიწყეს და ამ საქმეში საგადასახადო პოლიციის 50 თანამშრომელი ჩაერთო. შედეგად, გუს ჰიდინკი ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდა.

სასამართლო გრძელდება და განაჩენს 27 თებერვალს გამოიტანენ. რუსეთის ნაკრების მწვრთნელს ათთვიანი პატიმრობა, ან ფულადი ჯარიმა ემუქრება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტკბილი რო-რუ

**უეინ რუნის** ყველაზე გამგებიან მსმენელად კრიშტიანუ რონალდუ ჰყოლია.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩხუბარი ბიჭები ახლა კარგი მეგობრები არიან და თუ მთელი „მანჩესტერი" ლივერპულური, სქუსერული აქცენტის გამო აშაყირებს რუნის, რონალდუს მისი კარგად ესმის.

თავად რონალდუ მადეირელია და 11 წლისა იყო, როცა ლისაბონში, „სპორტინგის" სკოლაში გადაიყვანეს.

„ჩვენ ძმებივით ვართ — ამბობს რონალდუ — როცა მის სქუსერულ თლიფინს ვისმენ, ყოველთვის ის მახსენდება, პატარაობისას როგორ დამცინოდნენ ლისაბონელი კლასელები. ხუთ წელიწადს მარტო ვიყავი და ჩამოსულის პირობაზე მძიმე დრო მედგა. სამაგიეროდ, ფეხბურთელი გავხდი".

მსოფლიოს თასზე მომხდარი გაწევ-გამოწევა რუნისა და რონალდუს შორის ახლა სასაცილოდ ჩანს. ამაში დამსახურება ალექს ფერგიუსონს მიუძღვის, ისევე, როგორც რონალდუს ზრდაში.

„დაბადებით დრიბლიორი ვარ — აღიარებს რონალდუ — ამიტომ გადაჭარბება ვიცი და ბურთსაც ვკარგავ ხოლმე. მაგრამ ვსწავლობ და ყოველწლიურად უკეთესად გამომდის. ახლა უკვე მომენტის შერჩევაც ვიცი და პასიც. ეს სერ ალექსთან ყოველდღიური ვარჯიშის შედეგია".

**ირაკლი გამყრელიძე**

# ბოსმაიმუნობა სერიოზულად

**დაივიწყეთ** მეორეხარისხოვან ვარსკვლავთა მოთამაშე ფასები, ჯერ ხომ უფასოთა სია არ შეგვისწავლია.

დიახ, იანვრის ბაზარი დაიხურა, მაგრამ საფეხბურთო სამყარო უკვე ზაფხულზე ფიქრობს და ამავე საკითხზე ფიქრით თავს ინგლისელი ჟურნალისტებიც იღლიან. ერთი სიტყვით, ქვემოთ მათ ნააზრევს გთავაზობთ, ამ ნააზრევის ამოსავალი წერტილი კი საბაზრო ეკონომიკაა.

მართლაც, პრემიერლიგაში ახალი ფეხბურთელების ძიებას „ჩელსის" გარდა ალბათ ყველა სხვა გუნდი დასახარჯად წინასწარ გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით იწყებს. ამიტომაც აინტერესებს ყველას ეგრეთწოდებული თავისუფალი აგენტები, მით უფრო, ინგლისშიც და მის საზღვრებს გარეთაც, თუ კარგად მოქექავენ, შესაძლოა, გვარიან ვარსკვლავს გამოჰკრან ხელი.

ჰოდა, ქვემოთ, „ბოსმანის გუნდის" იმ შემადგენლობას გაგაცნობთ, რომელიც „სანმა" შეადგინა. ჟურნალისტების ვარაუდით, ამ გუნდში შეყვანილი ფეხბურთელები პრემიერლიგის გუნდებისთვის უთუოდ საინტერესონი იქნებიან.

**იენს ლემანი**. ვეტერანი გერმანელი მეკარე, რომელმაც, არ არის გამორიცხული, „არსენალის" შემდეგ სადმე კიდევ ერთი პატარა თავგადასავალი ინდომოს. ფაქტია, რომ ლემანი ნოემბერში 38 წლისა ხდება, ლონდონელებთან ორწლიანი კონტრაქტის გაფორმების იმედი კი თითქმის გადაეწურა — არსენ ვენგერმა მასთან დიდი-დიდი ერთწლიანი ხელშეკრულება დადოს და ესაც საეჭვოა...

**მარკ დილანი**. „ასტონ ვილას" უელსელი მცველი ბოლო ორი წელია, ტრავმებმა დატანჯა. უკვე ნათელია, რომ ამ სეზონში ის მოედანზე ველარ გავა, ზაფხულზე კი ბირმინგემიდან გაუშვებენ, თუმცა როგორმე თუ მოახერხებს და, ვარჯიშს ძველებურად შეუდგება, ინგლისელი ჟურნალისტების აზრით, მის შესაძენად შესაძლოა, რიგიც კი დადგეს.

**ალესანდრო ნესტა**. ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ევროპელი მცველის კონტრაქტი „მილანთან" დასასრულს უახლოვდება. რასაკვირველია, „შავ-წითლები" ყველა ღონეს იხმარენ, რათა თუ გაშვებაა, მის სანაცვლოდ ფული მაინც მიიღონ, მაგრამ ვითარებას ისეთი ელფერი დაჰკრავს, რომ არ არის გამორიცხული, ნესტა „გაეპაროთ" კიდეც.

**ტალ ბენ ჰაიმი**. „ბოლტონის" ებრაელ მცველს დიდ გუნდში უნდა გადასვლა. 24 წლის მოთამაშით ამას წინათ თვით „ჩელსი" იყო დაინტერესებული და ტალი თავადაც დარწმუნებულია, რომ საუკეთესოთა მარაქაში შეუძლია გარევა.

**სილვან დისტინი**. ამ ფრანგმა მცველმა გადაწყვიტა, „მანჩესტერ სიტისთან" ახალი კონტრაქტი აღარ გააფორმოს. სადაცაა, იგი 30 წლის გახდება და უნდა, კარიერის მიწურულს რაიმე დიდ მიზანს შეეთამაშოს. დარწმუნებულია, რომ მსურველების რიგი დაუდგება.

**სტივ სიდველი**. „რიდინგის" ყოჩაღი ნახევარმცველი ბოლო წელია, კლუბს კატათაგვობანას ეთამაშება. მას ესმის, რომ კარიერის ამ ეტაპზე კარგად თამაშობს და ცდილობს, ბოლო წამამდე არ მიიღოს გადაწყვეტილება, რათა საბოლოოდ საუკეთესო ვარიანტი აირჩიოს.

**ზოლტან გერა**. უნგრელი ნახევარმცველი „ვესტ ბრომვიჩიდან" აუცილებლად წავა, იმის მიუხედავად, გუნდი პრემიერლიგაში გადავა თუ ვერა. სხვათა შორის, გასული სეზონის ბოლოს, როდესაც „ვესტ ბრომვიჩი" პრემიერლიგიდან გავარდა, უნგრელმა გუნდს უერთგულა და ქვედა ლიგაში ჩაჰყვა, მაგრამ ახლა უკეთესი ვარიანტის მოლოდინშია.

**ალდო დუშერი**. არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი, რომელმაც ოდესღაც დევიდ ბექჰემისთვის ფეხის მოტეხვითაც გაითქვა სახელი, „დეპორტივო ლა კორუნიასთან" ხელშეკრულების გაგრძელებას აღარ აპირებს. ამბობენ, რომ მისით „ლიონი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" არიან დაინტერესებულნი.

**მეტ იარვისი**. ეს 20 წლის ბიჭი ქვედა ინგლისური ლიგების ყველაზე კაშკაშ-ამომავალ ფორვარდად ითვლება. ის „ჯილინგემში" თამაშობს და, ცხადია, პრემიერლიგაში გადასვლას ეშურება. იარვისი მიდლსბროელია, ასე რომ, არ არის გამორიცხული, მშობლიურ ჩრდილოეთში, „მიდლსბროში" ან „ნიუკასლში" გადავიდეს.

**მარკ ვიდუკა**. მართალია, ავსტრალიელ ფორვარდს „მიდლსბროში" ბოლო სამი სეზონი შედარებით რთული ჰქონდა, მაგრამ ამის გამო მსურველთა რაოდენობა მაინც არ დაჰკლებია. 31 წლის ყოფილი ლიდსელი თავადაც დარწმუნებულია, რომ ჯერ კიდევ შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში.

**ნვანკვო კანუ**. „ვესტ ბრომვიჩიდან" „პორტსმუთში" გადასვლის შემდეგ ნიგერიელმა ყველას დაანახა, რომ ჩამოსაწერი ნამდვილად არ არის. მის წლევანდელ კამპანიას ბევრმა სასწაულებრივი მოტრიალებაც დაარქვა. ამბობენ, რომ მისი ყიდვა ყველაზე მეტად „აიაქსს" უნდა.

შემცვლელები

**დიდა**. 33 წლის ბრაზილიელი მეკარე „მილანიდან" მიდის და არ არის გამორიცხული „არსენალშიც" კი ამოჰყოს თავი.

**კრის კომონსი**. „ნოტინგემ ფორესტის" ნახევარმცველი ამ სეზონში ისე ათამაშდა, რომ ბევრის აზრით, დროა, დიდ საქმეებს დაუბრუნდეს.

**ტრევორ სინკლერი**. „მანჩესტერ სიტის" გარემარბი ამ სეზონში ტრავმამ გააწვალა, მაგრამ მომავალ სეზონში ალბათ ისევ იტყვის თავის სიტყვას.

*რობი ფაულერი, ტედი შერინგემი, ტიტუს ბრამბლი და კრეიგ მური*

**პაპუნა ძიდია**

# ბექზი ერთი დღით

13 **მარტს** დევიდ ბექჰემი „ოლდ ტრეფორდს“ დაუბრუნდება.

ამ დღეს საქველმოქმედო თამაშში „მანჩესტერი VI“ ევროკავშირის ნაკრებს უმასპინძლებს. დღე მღელვარე იქნება, რადგან ბექზი 10 წელიწადს იყო ამ სტადიონის გმირი.

ჯერჯერობით უცნობია ევროკავშირის ნაკრების სრული შემადგენლობა, მაგრამ მწვრთნელებად მარჩელო ლიპი და უეფას ტექდირექტორი ენდი როქსბურგი იქნებიან.

ლიპის უკვე დაუპატიჟებია ტიერი ანრი და სტივ ჯერარდი, ხოლო ფრანკ რაიკარდსა და ჟერარ ულიეს უთქვამთ, ჩვენც გამოვუშვებთ „ბარსას“ და „ლიონის“ ვარსკვლავებსო.

თამაში ევროპის ეკონომიკური საზოგადოების, ევროკავშირის სასაფუძვლო ორგანიზაციის 50-წლისთავს მიეძღვნება.

**ირაკლი გამყრელიძე**

## კარსონს ლემანობა მოუწევს

**ლონდონის** „არსენალს“ „ჩარლტონის“ მეკარე სკოტ კარსონის გადაბირება სურს. „მეთოფეებს“ კარსონი, რომელიც ინგლისი 21-წლამდელთა ნაკრების წევრია, იენს ლემანის შემცვლელად უნდათ, რადგან გერმანელი სეზონის დასრულების შემდეგ წასვლას აპირებს. კარსონი „ლივერპულს“ ეკუთვნის და „ჩარლტონში“ განათხოვრებულია.

## მამლის მეგობარი

**„ტოტენჰემის“** მწვრთნელად, შესაძლოა, „პორტსმუთის“ თავკაცი ჰარი რედნაპი დანიშნონ, როცა „მამლების“ ახალი პატრონი ამავე კლუბის ვიცე-პრეზიდენტი პოლ კემსლი გახდება. კემსლი რედნაპის მეგობარია და მისი გადასვლაც ამას დაუკავშირა THE PEOPLE-მ.

ამასობაში გაირკვა, რომ „ტოტენჰემს“ „ლივერპულიდან“ ავსტრალიელი ჰარი კიუელის ყიდვა უნდა და 3 მილიონ 200 ათასი გირვანქაც გაუმზადებია. კიუელი მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე დაშავდა და მას შემდეგ არ უთამაშია.

## შარიანი ავტოგრაფი

**დურჰემის** აეროპორტის პერსონალს პოლიციის გამოძახებამ მოუწია მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ფანი ტიერი ანრის აეკიდა და ავტოგრაფს სთხოვდა, როცა ფრანგი ტელეფონზე საუბრობდა. აეროპორტი მიდლსბროდან 16 კილომეტრშია, ხოლო ამბავი თერთმეტი დღის წინ მოხდა, როცა „არსენალი“ „მიდლსბროსთან“ სათამაშოდ ჩავიდა — შეხვედრა 1:1 დასრულდა. მასპინძლები იგებდნენ და ანგარიში სწორედ ანრიმ გაათანაბრა.

## რა შუაშია ცოლი?

**„სელტიკის“** მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა გლაზგოს ერთ-ერთ კინოთეატრში „დაჭერობანა“ მოაწყო, რადგან მავანმა ნაძირალა ფანებმა მის ცოლს შეურაცხმყოფელი ფრაზები „ესროლეს“.

„სელტიკი“ ჩემპიონატში პირველ ადგილზეა და გვარიანად უსწრებს „რეინჯერსს“. უცნობია, რა დაუშავა სტრაჩანის მეუღლემ ხულიგნებს, ალბათ, „რეინჯერსის“ ფანები იყვნენ და ამიტომაც გაეკიდა „სელტიკის“ მწვრთნელი მათ დასაჭერად.

## მთავარია ბოკა

**„შტუტგარტმა“** დაადასტურა, რომ „ლანსის“ ფორვარდ არუნა დინდანეს გადაბირება სურს. ამის შესახებ გერმანულმა „შპორტალმა“ დაწერა — შტუტგარტელ სკაუტებს 26 წლის დინდანე მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე უნახავთ და მოსწონებიათ.

კოტდივუარელმა ფეხბურთელმა ამ სეზონში 20 მატჩში 9 გოლი გაიტანა. „შტუტგარტში“ თამაშობს მისი თანამემამულე არტურ ბოკა და ეს შეიძლება, დინდანეს ტრანსფერში გადამწყვეტიც აღმოჩნდეს.

## თომასი ზაფხულისთვის შეინახეს

**ბილეფელდის** „არმინიადან“ წასულმა თომას ვონ ჰესენმა, „შპორტალის“ ცნობით, შესაძლოა, სეზონის ბოლოს „მიონხენგლადბახი“ ჩაიბაროს. გლადბახელებს ამჟამად იოს ლუჰუკაი წვრთნის, რომელმაც იუპ ჰაინკესი შეცვალა ათი დღის წინ. ლუჰუკაის ხელში გუნდმა ორი მატჩიდან ერთი მოიგო და ერთიც ფრედ დაასრულა, მაგრამ კლუბის პატრონმა მიანიშნა, ზაფხულში ახალი მწვრთნელი გვეყოლებაო.

## ვარელას მუხლში დაჭრიან

**ბუნდესლიგის** ლიდერ „შალკეს“ ნახევარმცველი გუსტავო ვარელა დაშავდა და მისთვის სეზონი ნაადრევად დასრულდა. 28 წლის ურუგვაელი ბოლო ტურებში ძალიან კარგად თამაშობდა, ტრავმა კი „ჰერტასთან“ მოგებულ მატჩში მიიღო — მარცხენა მუხლის ჯვარედინი მყესები დაუზიანდა.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ვარელა გუნდს ველარ დაეხმარება. ახლა მას ოპერაცია სჭირდება“ — თქვა კლუბის ექიმმა ტორსტენ რარეკმა.

ბოლო ორ კვირაში უკვე მეოთხე ფეხბურთელი დაუშავდა „შალკეს“. ვარელამდე გუნდს გამოაკლდნენ მარცხენა მცველი კრისტიან პანდერი, მეორე მეკარე რალფ ფარმანი და ქართველი ლევან კობიაშვილი.

**ვაჟა ხუციშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანის „ინტერი“ სადღეისოდ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია — სერია A-ს დამაჯერებლად ლიდერობს, იტალიის თასის ფინალშიც გავიდა და ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ ფავორიტადაც ითვლება.

„შავ-ლურჯების“ წარმატება ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, კლუბის მფლობელ მასიმო მორატის უხარია, რომელიც მრავალი წელია, დიდ ფულს ხარჯავს და, შეიძლება ითქვას, ასეთი შთამბეჭდავი გუნდი აქამდე არ ჰყოლია...

# რონალდო ამური არ არის!

## მორატის ისარი გულში არ მოხვედრია

— ცარიელ სტადიონზე თამაშის მიუხედავად, „ინტერმა“ „კიევოსთან“ მატჩში მორიგი გამარჯვება მოიპოვა და მიჯრით მოგებების რეკორდი 15-მდე გაზარდა...

— ეს ამბავი ძალიან მახარებს. ცარიელ სტადიონზე თამაში ადვილი არ არის, მაგრამ ჩვენი გუნდი იმდენად ძლიერია, ამასაც იოლად აუდო ალღო. ვფიქრობ, ახლანდელი „ინტერი“ ყველაფრისთვის მზად არის.

— ისევ გაიტანა ადრიანომ. შეიძლება ვთქვათ, რომ ძველი „იმპერატორი“ დაბრუნდა?

— რასაკვირველია! ადრიანომ, უბრალოდ, მნიშვნელოვანი გოლი კი არ გაიტანა, მთელი მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია — იგი ხომ გუნდისთვის ბევრს ნიშნავს.

— ალბათ გაიგებდით, რომ „კიევოსთან“ მატჩის დღეს „ინტერის“ ოთხი ფანი დააკავეს...

— ეს მატჩის შემდეგ გავიგე, მაგრამ კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან დეტალები არ ვიცი...

— არ გაწუხებთ, რომ ასეთი ფაქტები ისევ ხდება?

— კი, მაგრამ... მსოფლიო ერთ დღეში და ერთი ინციდენტის შემდეგ ვერ შეიცვლება. ცუდი და კარგი ყველგან არის. იმედია, ყველაფერი მალე გამოსწორდება და ფანები სტადიონზე მხოლოდ თავიანთი გუნდების საქომაგოდ მივლენ და არა იმისთვის, რომ ვინმეს ზიანი მიაყენონ.

— „ინტერის“ საქმეები სერია A-ში ბრწყინვალედ მიდის, მაგრამ მალე ჩემპიონთა ლიგაში „ვალენსიასთან“ მნიშვნელოვანი მატჩი გელით...

— ამისთვის მზად ვართ. „ინტერისთვის“ ყველა ტურნირი მნიშვნელოვანია და იმედია, ბიჭები ისეთივე წარმატებით ითამაშებენ ჩემპიონთა ლიგაში, როგორც ამას სერია A-ში აკეთებენ.

— როგორ ფიქრობთ, „ვალენსიასთანაც“ ცარიელ სტადიონზე მოგიწევთ თამაში?

— სულ მცირე, აბონემენტის მქონე ქომაგებს მაინც შეეძლებათ მატჩზე დასწრება. ვეცდებით, უსაფრთხოების ზომები დავიცვათ.

— რობერტო მანჩინიმ თქვა, რომ ცარიელ სტადიონზე თამაშს აზრი არა აქვს და ჯობს, ჩემპიონატი შეწყდეს, სანამ ქომაგებს მატჩებზე დასწრების უფლებას არ მისცემენ...

— ეს ყოფილი ფეხბურთელისა და უკვე წარმატებული მწვრთნელის სიტყვებია. თუმცა მიხარია, რომ იგი რეალობას შეეგუა და გუნდი ცარიელ სტადიონზეც კარგად ათამაშა. იმედია, მალე მატჩებს ისევ ძველებურად, სავსე ტრიბუნების წინ გავმართავთ.

— ცარიელ სტადიონზე თამაში როგორ მოქმედებს გუნდზე?

— ვფიქრობ, ძალიან ცუდად, თუმცა იმედია, მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

— ჩემპიონთა ლიგაში ერთხელ უკვე გამოსცადეთ, როგორია ცარიელ სტადიონზე თამაში. განსაკუთრებით რა დაგამახსოვრდათ იმ შეხვედრიდან?

— არასასიამოვნო გრძნობა... მჯერა, „ვალენსიასთან“ მატჩზე ქომაგები გვეყოლება.

— „კიევოსთან“ შეხვედრაში მანჩინიმ ზლატან იბრაჰიმოვიჩი არ ათამაშა. ამაზე რას იტყვით?

— ფეხბურთი მამაჩემმა შემაყვარა და დიდი ხანია, ამ სფეროში ვარ. მოკლედ, კარგად ვიცი, რომ ხშირად ექიმია მართალი, ხშირად კი მწვრთნელი... ახლაც მსგავსი სიტუაციაა — იბრაჰიმოვიჩს მცირე ტრავმა აწუხებდა და ვფიქრობ, მანჩინი სწორად მოიქცა, ის რომ არ ათამაშა. თუმცა, შესაძლოა, ბევრი სხვა აზრზე იყოს.

— 23-ე ტურში „მილანის“ შემადგენლობაში რონალდოს დებიუტი შედგა. ნახეთ ის მატჩი?

— არა. მხოლოდ რამდენიმე მომენტი ვნახე, მათ შორის, რონალდოს რამდენიმე კარგი ეპიზოდიც.

— გული გტკივათ, მას „მილანის“ მაისურაში რომ ხედავთ?

— რა თქმა უნდა, ეს უსიამოვნოა, მაგრამ გულში ისრის გაყრის შეგრძნებას ნამდვილად არ ტოვებს.

# ათი წლის შემდეგ

## პატარა ბიჭმა დიდი კაცი დააბრუნა



**„პარმას“** ახალი მწრთნელი ჰყავს — კლაუდიო რანიერი. კლუბის ახალმა პატრონმა, 31 წლის ტომაზო გირარდიმ „რომასთან“ 0:3 მარცხის შემდეგ სტეფანო პიოლი მოხსნა, რადგან პარმელებმა მეცამეტე მატჩი წააგეს და ბოლოდან მეორე ადგილზე არიან.

„პარმა“ აცხადებს, რომ სტეფანო პიოლი გათავისუფლებულია და მადლობას უხდის მას გაწეული შრომისთვის. ასევე მადლობლები ვართ მისი თანაშემწეების, ჯაკომო მაურელის, მატეო ოსტის და ბრუნო ფანტინის. გუნდის ახალი თავკაცი კლაუდიო რანიერია“ — წერს „პარმას“ ოფიციალური ვებ-გვერდი.

კლაუდიო რანიერი ტელეკომენტატორად მუშაობდა მას შემდეგ, რაც „ჩელსიდან“ გაუშვეს 2004 წელს. იგი იტალიიდან 1997-ში წავიდა და „ვალენსიას“ მწვრთნელი გახდა. ყოფილი მცველის სამწვრთნელო კარიერა 1987 წელს დაიწყო — „კალიარი“ სერია C-დან სერია A-ში გადაიყვანა. შემდეგ „ნაპოლიში“ გადავიდა და მეოთხე ადგილზე გაიყვანა გუნდი, ხოლო ნეაპოლიდან წასულმა „ფიორენტინა“ ჩაიბარა. მისი თავკაცობით „იებმა“ იტალიის თასი და სუპერთასი მოიგეს 1996-ში.

„ვალენსიაში“ ორი სეზონი გაატარა და ესპანეთის სამეფო თასი აღმართა, მერე კი „ჩელსიში“ (2000-2004) გადაბრძანდა და გუნდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა.

რომან აბრამოვიჩისგან „ჩელსის“ ყიდვის შემდეგ რანიერი ესპანეთში დაბრუნდა და „ვალენსიაში“ მივიდა, მაგრამ ექვს თვეში მოხსნეს, რადგან „ლამურები“ უეფას თასიდან გავარდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**



# მილანური ვარსკვლავთხაბარი

### კაკა იტალიელია

„მილანის“ ბრაზილიელი პლეიმეიკერი კაკა გუშინ იტალიის მოქალაქე გახდა.

ასე და ამგვარად, ორმაგი პასპორტის მქონე ფეხბურთელი ამიერიდან ლეგიონერად აღარ ითვლება — ის ევროკავშირელია.

„ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. იტალიაში 2003 წელს ჩამოველი და მინდა გითხრათ, რომ ამ ხნის მანძილზე საოცრად შემიყვარდა ეს ქვეყანა. იტალიაში, როგორც პროფესიული თვალსაზრისით, ისე ცხოვრებისეულად, ძალიან გავიზარდე. რა თქმა უნდა, ჩემი ახალი სტატუსი კლუბსაც დაეხმარება — თქვა კაკამ, რომელიც იქვე „როსონერის“ სიყვარულსაც ეფიცება — ცოტა ხნის წინ „მილანთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე გავახანგრძლივე, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ბოლო ხანს პრესაში ჩემზე არაერთხელ წავიკითხე, თითქოს მადრიდის „რეალში“ გადასასვლელად ვემზადები, მაგრამ მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ეს ტყუილია. მადლობა „რეალს“ მიწვევისთვის, მაგრამ მე „მილანი“ მომწონს და მიყვარს“.

ბრაზილიელ-იტალიელი „შავ-წითლებში“ თანამემამულის, რონალდოს გადასვლასაც შეეხო: „რონის „მილანის“ მაისურაში ხილვა ჩემი ერთ-ერთი ოცნების ახდენაა. მის გვერდით ბრაზილიის ნაკრებში არაერთხელ მითამაშია და ახლა კლუბშიც ერთად ვართ, ეს ხომ ბრწყინვალეა. ცოტა ხანში რონალდინიოც თუ გადმოვა, „მილანის“ სუპერკლუბობა მერე ნახეთ“.

### მოვიდეს რონალდინიოც

„ბარსელონას“ შემტევის შესაძლო ტრანსფერს მიესალმება „მილანის“ ჯიგარი ჯენარო გატუზოც. დიდას, კაფუს, კაკას, სერჟინიოს, რიკარდო ოლივეირასა და ახლა რონალდოს მისვლის შემდეგ „როსონერის“ იტალიაში ბრაზილიურ „მილანსაც“ ეძახიან.

„რატომაც არა? — ილიმება გატუზო, რომლის თქმითაც, ამ ბრაზილიელებს მხოლოდ რონალდინიოლა აკლიათ — ვიმედოვნებ, იგი ჩვენთან ზაფხულშივე გადმოვა. ჩვენს პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის ბარსელონელი ძალიან მოსწონს, დარწმუნებული ვარ, მის გადმოსაყვანად არაფერს დაიშურებს“.

გატუზო რონალდოსაც ძალიან აქებს, მის დებიუტზე კი ეს თქვა: „უნდა გენახათ, „ლივორნოსთან“ როგორ შემოვიდა. მაშინვე დაგვანახა, თუ რისი მაქნისია. მართალია, გოლი ვერ შეაგდო, მაგრამ მჯერა, რონალდო წლეულს მეოთხე ადგილზე გასვლაში დაგვეხმარება და უამრავ გოლს გაიტანს“.

### ეშმაკი მარეკი

ასე შეაფასეს „ლივორნოსთან“ მატჩში გამარჯვების გოლის გამტანი მარეკ იანკულოვსკი იტალიელმა ჟურნალისტებმა. „მილანის“ ჩეხმა ლეგიონერმა 68-ე წუთზე ოცდაათი მეტრიდან მოუქნია ეშმაკურად ბურთს ფეხი და ჩინებულად მოთამაშე მარკო ამელიას შორეულ კუთხეში გაუტანა.

ამით იანკულოვსკიმ „როსონერის“ შეფებს მადლობა გადაუხადაო, გვატყობინებენ ჟურნალისტები. წინა დღით ხომ ჩეხმა კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა.

### ეს ვინ ყოფილა?!

„ყველანი რონალდოს დებიუტს ველოდით, მაგრამ მე თუ მკითხავთ, მეორე დებიუტანტმა უფრო იყოჩაღა“ — უთქვამს ადრიანო გალიანის ნამატჩევს და იანვარში „მესინადან“ ნაყიდი მეკარე მარკო სტორარი აქო და ადიდა. სტორარიმ მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა, კარში ჩადგომა კი იმიტომ მოუწია, რომ „მილანს“ ნელსონ დიდა და ჟელკო კალაჩი დაშავებული ჰყავს.

„სტორარიმ გამაოცა და ახლა უფრო მეტად დავრწმუნდი მისი ტრანსფერის სისწორეში. თუმც გამოგიტყდებით და, ჩვენი უპირველესი სამიზნე მაინც ჯანლუიჯი ბუფონია“ — დასძენს გალიანი.

### რაო, რაო? ძებინაო!

კაფუ, ბონერა, შიმიჩი და იანვარში „ლაციოდან“ ნაყიდი მასიმო ოდო — ყველა ეს ფეხბურთელი ამპლუით მარჯვენა მცველია და თითქოს „შავ-წითლებს“ ამ პოზიციაზე ნაღდად არ უნდა უჭირდეთ, მაგრამ დახეთ, რა ხდება: გუშინდელი „კორიერე დელო სპორტი“ გვამცნობს, რომ კლუბს ზაფხულში ფრანგი ჯონათან ძებინა შეუერთდება. „იუვენტუსის“ მარცხენა მცველის „მილანში“ გადასვლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია და ბეჭედი სწორედ ივნისში დაესმებაო.

არადა, ჯონათან ძებინას „იუვესთან“ კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს.

### დაგვიჯერეთ, ანრი ჯობია

„მილანისა“ და „ინტერის“ შუღლი, მოგეხსენებათ, საქვეყნოდაა ცნობილი. ჰოდა, მტრებმა არ დაგვასწრონო და, გუშინდელი „კონტროკამპო“ ასეთი სათაურით გამოვიდა: რა რონალდინიო, „მილანში“ ტიერი ანრი გადადის!

გეცოდინებათ, ანრის ტრანსფერზე მასიმო მორატი უკვე, რა ხანია, იქაჩება, მაგრამ ეს საქმე ჯერჯერობით არ გამოსდის და „შავ-წითლებმაც“ აქ წამოჰყვეს თავი — ბერლუსკონის 70 მილიონი რონალდინიოს გამო კი აქვს გადადებული, მაგრამ „მილანის“ ტრანსფერების საქმეთა გამრიგე არიედო ბრაიდა და ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი „არსენალთან“ აწარმოებენ მოლაპარაკებას და დონ სილვიოსაც თავის განზრახვაზე ხელს აალებინებენო.

კაკა-ანრი-რონალდო — ეს ტრიო მსოფლიოში სასწაული იქნება. ანრის კი „მილანისა“ და „ინტერის“ გარდა, „ბარსელონა“ და „რეალი“ ეპატიჟებიან.

**გიორგი ვაჟაძიძე**

# უეფამ მილანს ხალხი უთხრა

**უეფა** არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელია, ჩემპიონთა ლიგის მოახლოებულ მატჩებს „სან სიროზე“ მაყურებელი დაესწროს.

შეგახსენებთ: მილანის ცნობილმა სტადიონმა წინა კვირას ვერ დააკმაყოფილა იტალიის მთავრობისა და ფეხბურთის ფედერაციის მიერ შემოღებული ეგრეთწოდებული „პიზანუს კრიტერიუმები“, რის გამოც თავდაპირველად მასზე ხალხის შეკრება საერთოდ აიკრძალა, მოგვიანებით კი აბონემენტთა 37 297 მფლობელისთვის გამონაკლისი დაუშვეს.



შეგახსენებთ იმასაც, რომ იმ შემთხვევაში, თუ მაყურებლის დასწრებას აკრძალავდნენ, „სან სიროს“ ორივე ბინადარი „მილანიცა“ და „ინტერიც“ თავიანთი თამაშების ევროპის სხვა ქალაქში ჩატარებას ითხოვდნენ.

უნდა ითქვას, რომ გასულ პარასკევს სტადიონის შესასვლელებში სასწრაფოდ დაამონტაჟეს 28 ტურნიკეტი, რითაც უსაფრთხოების ნორმები მოთხოვნილს მიუახლოვდა. გეგმის თანახმად, დანარჩენი სამუშაო ორ კვირაში უნდა დამთავრდეს.

უეფას პრესმდივანი უილიამ გაილარი: „ის, რაც გასულ პარასკევს გაკეთდა, ძალიან კარგია. იტალიის ჩემპიონატის 23-ე ტურის მატჩში „ლივორნოს“ წინააღმდეგ კარგი რეპეტიციაც ჩატარდა, ასე რომ, 7 მარტს „მილანმა“ „სელტიკს“ ხალხით სავსე „სან სიროზე“ უნდა უმასპინძლოს. სხვათა შორის, „ლივორნოსთან“ შეხვედრაში აბონემენტების მფლობელთა დაშვება სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ ახალ ტურნიკეტებს ამოწმებდნენ“.

„მწამს, რომ, როგორც „მილანი“, ასევე „ინტერი“ ჩემპიონთა ლიგის მატჩებს შინ ითამაშებს — თქვა მილანელთა ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ — ჩვენი მოთხოვნა და იმედიც ეს არის“.

„ინტერმა“, წესითა და რიგით, „ვალენსიას“ 21 თებერვალს უნდა უმასპინძლოს.

**პაპუნა ძედია**

# დავიდ ტრეზეგემ იუვეს უი უარყო

**ტურინის** „იუვენტუსის“ ფორვარდმა დავიდ ტრეზეგემ უარყო ჭორები, თითქოს ის და მისი რამდენიმე თანაგუნდელი დიდიე დეშანის წინააღმდეგ „აჯანყებას“ აწყობდნენ. იტალიური პრესის ცნობით, „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელს გამოსაცდელი პერიოდი მისცეს, ხელმძღვანელობა მისი მუშაობით მთლად კმაყოფილი არ არის და შესაძლოა, დაითხოვონ.



აპენინურ ჟურნალ-გაზეთებში ისიც დაიწერა, შვიდი-ცხრა ფეხბურთელი მაინც დეშანის წინააღმდეგია და მის სავარძელს ესეც გვარიანად „არყევსო“. „აჯანყებულთა“ სიაში ტრეზეგეც იყო ნახსენები, თუმცა არგენტინული ფესვების მქონე ფრანგმა „იუვეს“ თავკაცი დაიცვა...

„არც ერთ ჩვენგანს არ ესიამოვნა ის, რაც პრესაში დაიწერა. ითქვა, თითქოს ჩვენ დეშანზე გაბრაზებულნი ვართ, რაც ტყუილია. ჩვენ დიდიეს მხარს ვუჭერთ და პირადად მე სხვებზე მეტადაც კი, რადგან მასთან ერთად საფრანგეთის ნაკრებში მითამაშია და ვიცი, როგორი პიროვნებაც არის...

...რატომ ვიყავი „ვიჩენცასთან“ მატჩში სათადარიგოთა სკამზე? ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ ტრავმის მერე სათამაშო პრაქტიკა მაკლია და, შესაძლოა, მიზეზი ეს იყო. გვესმის, რომ იმ ფეხბურთს ვერ ვაჩვენებთ, რაც რეალურად შეგვიძლია, მაგრამ ახლა გუნდი ძალიან შეკრულია და მალე სათანადოდ ავთამაშდებით. თან საგანგაშოც არაფერია, ისევ ცხრილის სათავეში ვართ. ამიტომ მინდა, ვთხოვო ფანებს, გვერდით დაგვიდგნენ და მოთმინების უნარი გამოიჩინონ. ამჟამად ეს ყველაზე მეტად გვჭირდება. ჩვენი მიზანი სერია A-ში დაბრუნებაა და ამისთვის ქომაგების მხარდაჭერა აუცილებელია“ — თქვა ტრეზეგემ.

იტალიური პრესა „იუვენტუსის“ ფეხბურთელების ცხოვრების სტილსაც შეეძლო, სერია B-ში თამაშით დიდად თავს არ იკლავენ, სამაგიეროდ, „პლეიბოის“ ბიჭებივით ჟურნალისტებისთვის თუ რეკლამებისთვის პოზირება არ ეზარებათო. ტრეზეგე ამასაც გამოეხმაურა.

„ყველას შეუძლია, თამაშის გამო გაგვაკრიტიკოს, მაგრამ ჩვენს პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება არავის აქვს. ყველას გვყავს ოჯახი, ბევრს შვილებიც და როგორ ვიქცევით მინდორს გარეთ, არავის საქმე არ არის. ეს ჩვენი შეურაცხყოფაა და იმედია, ამგვარი რამ აღარ განმეორდება“ — დასძინა 29 წლის თავდამსხმელმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ყველაფერი მაქვს, ყველაფერი მინდა



ათი წლის წინ 16 წლის იკერ კასილიასი ერთ-ერთ მადრიდულ უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად ემზადებოდა, როცა „რეალის“ მწვრთნელმა დაურეკა და უთხრა, რომ „რუსენბორგთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში „სამეფო გუნდის“ მაშინდელი ძირითადი გოლკიპერის სანტიაგო კანისარესის სათადარიგო უნდა ყოფილიყო. მაშინ შეალო კასილიასმა დიდსაფეხბურთო კარიბჭე...

დღეს იგი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ძირითადი მეკარეა და ჯილდოებიც თავზესაყრელად აქვს — კასილიასმა „რეალთან“ ერთად ორი პრიმერადივიზიონი, ორი ესპანეთის თასი, ორი ჩემპიონთა თასი, ორი ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. გარდა ამისა, იკერი ესპანეთის ნაკრების შეუცვლელი მეკარეა.

კასილიასს **fifa.com**-ი ესაუბრა...

— **წინა ოთხშაბათს ესპანეთმა მანჩესტერში ინგლისის ნაკრები დაამარცხა. ამით თქვენი ეროვნული გუნდის ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს წერტილი დაესვა?**

— ყოველ შემთხვევაში, ინგლისთან გამარჯვებამ საჭირო სიმშვიდე მოგვიტანა. ახლა ნაკრებზე ბევრს აღარ ლაპარაკობენ და რასაც ამბობენ, საბედნიეროდ, ყველაფერი დადებითია. მაშინ, როცა მთელი ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენს წარმატებას ელოდა, მერვედფინალში დავმარცხდით. შემდეგ წავაგეთ ჩრდილოეთ ირლანდიასა და შვედეთთან... ამან დიდი პოლემიკა წარმოშვა. ინგლისთან ამხანაგური მატჩის წინ ესპანეთში მოგებაზე თითქმის არავინ საუბრობდა, ყველას ის ეკერა პირზე, აბა, ნაკრები მორიგ შეხვედრას როგორ დათმობს და გულს როგორ გაგვიხეთქავსო...

— **ნაკრების წევრებმა გამარჯვება როგორ მიიღეთ?**

— ცოტა სული მოვითქვით — ვიცოდით, ინჩადა და პრესა დროებით შეწყვეტდა ჩვენს ლანძღვას. როცა „ფურია როხა“ იგებს, ხალხი კმაყოფილია და ჩვენც, ფეხბურთელებს სიმხნევე გვემატება.

— **ესპანეთის 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსებზე რას იტყვით?**

— ძნელი იქნება, თუმცა არა შეუძლებელი. ჩვენ მოულოდნელი შეცდომები დავუშვით — შვედეთთან წაბორძიკება კიდევ შეიძლებოდა, აი, ჩრდილოირლანდიელებთან კი... ახლა რაღა დაგვრჩა? შეცდომები უნდა აღმოვფხვრათ. თუ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა გვინდა, აღარ უნდა წავაგოთ.

— **25 წლის ხართ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ნაკრების შემადგენლობაში უკვე 66 მატჩი ჩაატარეთ და ორ მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღეთ მონაწილეობა. „რეალის“ შემადგენლობაში კი პრიმერადივიზიონში 1999-2000 წლების სეზონიდან თამაშობთ და უამრავი ჯილდოს მფლობელი ხართ. ეს ყველაფერი თავბრუს არ გახვევთ?**

— მაშინ მახვევს თავბრუს, როცა ამას შემახსენებენ ხოლმე. ყოველდღიური ვარჯიშებისა და თამაშების დროს კი დიდების ტვირთს ვერ ვგრძნობ. დღეს 16 წლის ფეხბურთელებს რომ ვუყურებ, მათი სამომავლო ვარსკვლავობა სიგიჟედ მეჩვენება, ვფიქრობ, რომ ისინი დიდი კარიერისთვის ზედმეტად ახალგაზრდები არიან. თუმც „რეალის“ განაცხადში პირველად მეც ამ ასაკში შემიყვანეს... კმაყოფილი ვარ, რაც მოხდა — ბედზე ვერ დავიჩივლებ.

— **საკლუბო ჯილდოებიდან მხოლოდ კოპა დელ რეი გაკლიათ. კიდევ რისი მიღწევა გსურთ?**

— ყოველ სეზონში ტიტულების მოპოვებას ვისახავდი მიზნად და გამონაკლისი არც ეს სეზონია. მინდა, ნაკრებთან და „რეალთან“ ერთად ახალ-ახალი ჯილდოები მოვიგო. ამბიციური კაცი ვარ და გამიხარდება, კიდევ ერთი პრიმერა, ჩემპიონთა თასი და კოპა დელ რეი რომ შეემატოს ჩემს კოლექციას. ერთი სიტყვით, ყველაფერი მინდა.

— **რამდენიმე დღეში ჩემპიონთა ლიგა განახლდება და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მიუნხენის „ბაიერნი“ ჩამოდის. როგორ ფიქრობთ, გერმანელთა დამარცხებას შეძლებთ?**

— ახლა ძნელი პერიოდი გვაქვს, მოგება-წაგების ორომტრიალში ვართ და სტაბილურობით ვერ დავიტრაბახებთ. თუმც ვიცით, რომ დიდების მწვერვალზე არც „ბაიერნია“. ძნელი თამაში იქნება, მსგავსი ტიპის მატჩებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— **ბევრი ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ ჩემპიონატის მსვლელობას ნაკლებ ყურადღებას აქცევს, თუმცა ჩემპიონთა ლიგა სულ სხვაა...**

— ეს განსაკუთრებული ტურნირია, რომელშიც 180 წუთის განმავლობაში შეუპოვრად იბრძვი. ისე ჩანს, თითქოს ლიგის მატჩის დროს მთელი მსოფლიო მოლოდინში იყოხება. სტადიონზე განწყობა სხვანაირია და ჩვენც ვცდილობთ, ყველაფერი განსხვავებული იყოს.

— **სტატისტიკას რომ გადავხედოთ, „რეალს“ ჩემპიონთა ლიგაზე „ბაიერნთან“ სტუმრად ჩატარებული ბოლო ოთხი მატჩიდან მხოლოდ ერთი დაუმთავრებია ფრედ, დანარჩენი წააგო...**

— ამიტომაც ექნება სასიცოცხლო მნიშვნელობა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მიღწეულ შედეგს. მთავარია, გოლი არ გავუშვათ — ვფიქრობ, დაცვაში სოლიდურად გამოვიყურებით და ასე თუ გავაგრძელებთ, კარს მშრალად შევინახავთ, რაც საპასუხო შეხვედრაში წაგვადგება.

— **ამ სეზონში „რეალის“ დაცვის ხაზმა ბევრი ცვლილება განიცადა. ახლანდელ მცველებთან თავს როგორ გრძნობთ?**

— ცვლილებათა მიუხედავად, დაცვაში მაინც კარგად ვთამაშობთ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ პრიმერადივიზიონში გაშვებული გოლების მცირე რაოდენობით მეორე ადგილზე ვართ.

— **ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე ვისაუბროთ. ახალი ტრანსფერები „რეალს“ გააძლიერებს?**

— ზამთრის სატრანსფერო ბაზარი ყოველთვის მოულოდნელობებითაა სავსე. ზოგი უკვე წავიდა, ზოგი ახალ გუნდს ეძებს... თუმცა ახლა უკვე მშვიდად ვართ და იმაზე ვფიქრობთ, სეზონის დარჩენილ მონაკვეთში რა მოხდება.

— **ვარსკვლავებით დახუნძლული გუნდი კრიტიკოსთა შემოტევებს როგორ ეგუება?**

— თუ კრიტიკა მართებულია, ანუ თუ თამაშის სქემას, დაკარგულ ბურთს ან სხვა რამე შეცდომას ეხება, სათქმელი არაფერი მაქვს. ოღონდ ცილისწამებას და მსგავს სისაძაგლეს ყოველთვის პასუხს გავცემ.

— **რა არის საჭირო იმისთვის, რომ პრიმერას ცხრილში სიტუაცია გამოასწოროთ და ინჩასთა ნდობა დაიბრუნოთ?**

— ალბათ, სახიფათო სიტუაციების ხშირად შექმნა და მერე საგოლე იღბალი... ჩვენი ქომაგი თავდადებას და სიბეჯითეს ყოველთვის დიდ პატივს ცემს.

— **სეზონის შუაგულში „რეალის“ ყოფით კმაყოფილი ხართ?**

— არავითარ შემთხვევაში. ბევრი მატჩი წავაგეთ და ასევე ბევრი ქულა დავკარგეთ შინ. ეს რომ არა, ყველაფერი უკეთესად იქნებოდა.

— **კრიტიკის მიუხედავად, მაინც გულშემატკივართა კერპად რჩებით. ამას როგორ ახერხებთ?**

— ხალხის მხარდაჭერით ბედნიერი ვარ, რადგანაც ვიცი, რომ ისინი ჩემს შრომას აფასებენ.

# ფაბიომ ფაბიოს ანტონიო სთხოვა

**მადრიდის** „რეალის“ მცველმა ფაბიო კანავარომ მთავარ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს სთხოვა, ანტონიო კასანოს აპატიე და თამაშის საშუალება მიეციო.

მოგეხსენებათ, რთული ხასიათის მქონე „ტალენტინოს“ დონ ფაბიოსთან კონფლიქტი აქვს და უკვე რამდენიმე თვეა, „სამეფო გუნდის“ ძირითად შემადგენლობაში კი არა, განაცხადშიც აღარ არის.

მთელი იანვარი საუბრობდნენ, კასანო სამშობლოში დაბრუნდება, მისით „მილანი“, „ინტერი“, „პალერმო“ და „ფიორენტინა“ არიან დაინტერესებულნიო, თუმც აქედან არაფერი გამოვიდა.

ფაბიო კანავარო: „გვინდა, ანტონიო გუნდში დარჩეს. იგი ყოველდღე ბევრს მუშაობს, ხოლო უქმეებს სახლში მარტო ატარებს. შექმნილი ვითარებით უკმაყოფილონი ვართ. რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებს პატივს ვცემთ, მაგრამ იმედია, კასანოს მალე დააბრუნებენ შემადგენლობაში.“

შეგახსენებთ, რომ ამ უქმეებზე კაპელომ კიდევ ერთი მოძულებული ფეხბურთელი, დევიდ ბექჰემი დააბრუნა ძირითადში. ინგლისელიც „სოსიედადთან“ ბრწყინვალედ გაისარჯა და მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა.

„მთელი გუნდი თავდაუზოგავად ვმუშაობთ და ის, რომ კასანო შემადგენლობიდან მოკვეთილია, კარგი და სწორი არ მგონია. ყველას გვიხარია ბექჰემის წარმატება და იმედია, მალე ანტონიოც დაბრუნდება „რეალის“ ძირითადში. თითოეულ ჩვენგანს ხომ კლუბისთვის კარგი გვინდა“ — დასძინა კანავარომ.

**კოკი კანდელაკი**

# ფიგუ იტალიურად ამთავრებს და არაბულად ფიქრობს

**მილანის** „ინტერის“ ნახევარმცველმა ლუიშ ფიგუმ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს, კლუბთან კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ, ბობოლა ევროპულ კლუბებში მისი „მოგზაურობა“ დამთავრდება.



„უმაღლეს დონეზე თამაშს იტალიაში დავასრულებ — თქვა 34 წლის პორტუგალიელმა — „ინტერში“ გადმოსვლისთანავე ეს უკვე გადაწყვეტილი მქონდა და აღარ შევცვლი. სამშობლოში სათამაშოდ დაბრუნებას არ ვაპირებ. იტალიის ჩემპიონის მედლით მსურს აქედან წასვლა, ამიტომაც დავრჩი იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას და სხვაგან გადასვლისგან თავი შევიკავე“.

ლუიშ ფიგუს საუდეთის „ალ იტიჰადი“ ეპატიჟებოდა იანვარში და ისე ჩანდა, რომ პორტუგალიელი წასასვლელად მზად იყო, მაგრამ ეს ტრანსფერი ბოლომდე არ მოგვარებულა, არადა, ამას დაუფარავად აცხადებდა „ალ იტიჰადის“ პრეზიდენტი მანსურ ალ ბალავი.

„საუდეთში გადასვლაზე საუბარი ნაადრევია. ჯერ ამაზე არ მიფიქრია. კარგად ავწონ-დავწონი და პასუხსაც მერე ვიტყვი“ — აღნიშნა ფეხბურთელმა.

ფიგუმ პორტუგალიის ეროვნულ გუნდში 127 მატჩი ითამაშა და სანაკრებო კარიერა მსოფლიოს განვლილი ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა. „ინტერში“ 2005 წელს გადავიდა „რეალიდან“, მანამდე კი „ბარსელონაში“ და ლისაბონის „სპორტინგში“ თამაშობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## საფრანგეთი

II დივიზიონი

XXIV ტური

ბასტია 1:0 მეცი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 23 | 14 | 7 | 2 | 32:12 | 49 |
| კაენი | 24 | 13 | 9 | 2 | 42:22 | 48 |
| სტრასბური | 24 | 12 | 9 | 3 | 30:19 | 45 |
| ლე ავრი | 24 | 11 | 10 | 3 | 35:18 | 43 |
| შატორუ | 24 | 11 | 5 | 8 | 29:27 | 38 |
| ამიენი | 24 | 11 | 4 | 9 | 30:29 | 37 |
| დიჟონი | 24 | 10 | 7 | 7 | 26:25 | 37 |
| გრენობლი | 24 | 8 | 10 | 6 | 34:27 | 34 |
| ბასტია | 24 | 9 | 7 | 8 | 32:29 | 34 |
| რეიმსი | 24 | 9 | 7 | 8 | 29:27 | 34 |
| გენიონი | 24 | 9 | 5 | 10 | 27:32 | 32 |
| აიაჩო | 24 | 8 | 7 | 9 | 27:25 | 31 |
| ლიბურნი | 23 | 7 | 6 | 10 | 30:33 | 27 |
| მონპელიე | 24 | 7 | 6 | 11 | 27:31 | 27 |
| ბრესტი | 24 | 4 | 12 | 8 | 25:29 | 24 |
| კრეტეი | 24 | 5 | 8 | 11 | 18:33 | 23 |
| ისტრი | 24 | 5 | 7 | 12 | 19:35 | 22 |
| ნიორი | 24 | 4 | 9 | 11 | 21:33 | 21 |
| გენგამი | 24 | 3 | 10 | 11 | 21:30 | 19 |
| ტურსი | 24 | 4 | 5 | 15 | 19:37 | 17 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXI ტური

დუისბურგი 2:1 კარლსრუე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 21 | 13 | 6 | 2 | 47:22 | 45 |
| დუისბურგი | 21 | 11 | 9 | 1 | 40:21 | 42 |
| ჰანზა | 21 | 11 | 8 | 2 | 32:16 | 41 |
| ლაუტერნი | 21 | 9 | 9 | 3 | 28:18 | 36 |
| აუე | 21 | 10 | 3 | 8 | 30:28 | 33 |
| ფრაიბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 26:25 | 31 |
| მიუნხენი | 21 | 9 | 4 | 8 | 29:29 | 31 |
| კიოლნი | 21 | 8 | 6 | 7 | 30:26 | 30 |
| ფიურტი | 21 | 8 | 5 | 8 | 31:25 | 29 |
| აუგსბურგი | 21 | 7 | 8 | 6 | 20:18 | 29 |
| ოფენბახი | 21 | 8 | 4 | 9 | 27:31 | 28 |
| პადერბორნი | 21 | 6 | 8 | 7 | 17:19 | 26 |
| კობლენცი | 21 | 6 | 6 | 9 | 21:28 | 24 |
| უნტერჰახინგი | 21 | 4 | 7 | 10 | 19:25 | 19 |
| კარლ ცაისი | 21 | 4 | 7 | 10 | 22:38 | 19 |
| ბურგჰაუზენი | 21 | 4 | 6 | 11 | 20:40 | 18 |
| ესენი | 21 | 3 | 6 | 12 | 16:27 | 15 |
| ბრაუნშვაიგი | 21 | 2 | 7 | 12 | 11:30 | 13 |

## არგენტინა

კლაუსურა. I ტური

ესტუდიანტესი 2:0 პილმესი

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 1 | კარდიფი-ლიდსი | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 19:00 | 2 | კრისტალ პალასი-ბირმინგემი | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| 19:00 | 3 | ლესტერი-ქოვენთრი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 19:00 | 4 | საუთჰემპტონი-ბარნსლი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 19:00 | 5 | სტოუკ-ლუტონი | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 19:00 | 6 | სანდერლენდი-საუთენდი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 19:00 | 7 | ვულვერჰემპტონი-ბარნლი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 9 | ნორთჰემპტონი-ჯილინგემი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 11 | ბრედფორდი-ქრიუ | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 19:00 | 12 | ბრაიტონი-ნოტინგემი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 14 | ჩესტერფილდი-პორტ ვეილი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 15 | დონკასტერი-სუონსი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 19:00 | 16 | ჰადერსფილდი-ბრენტფორდი | 1.65 | 3.40 | 4.65 | 1.11 | 1.21 | 1.96 |
| 19:00 | 17 | ლეიტონი-კარლაილი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 18 | ოლდემი-მილუოლი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 19 | სკანთორპი-როტერჰემი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 20 | იოვილი-ტრანმერი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 22 | უოლსოლი-ლინკოლნი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 23 | აკრინგტონი-სტოკპორტი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 19:00 | 24 | ბოსტონი-შრიუსბერი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 25 | როვერსი-დონსი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 26 | ბერი-უიკომბი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 19:00 | 27 | ჰერეფორდი-ბარნეტი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 28 | მაკლსფილდი-პიტერბრო | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 19:00 | 29 | მენსფილდი-გრიმსბი | 2.05 | 3.20 | 3.15 | 1.24 | 1.24 | 1.58 |
| 19:00 | 30 | ნოტსი-როჩდეილი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 19:00 | 31 | სუინდონი-დარლინგტონი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 19:00 | 32 | ტორკი-ჰარტლპული | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 16:00 | 33 | რექსემი-ჩესტერი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 16:30 | 48 | აბერდინი-სელტიკი | 3.65 | 3.40 | 1.85 | 1.76 | 1.22 | 1.19 |
| 19:00 | 49 | დანფერმლაინი-კილმარნოკი | 2.95 | 3.30 | 2.15 | 1.55 | 1.24 | 1.30 |
| 19:00 | 50 | ჰართსი-სტ.მირენი | 1.42 | 3.80 | 7.00 | 1.03 | 1.18 | 2.46 |
| 19:00 | 52 | მოზერუელი-ინვერნესი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 53 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 19:00 | 54 | რეინჯერსი-ფოლკირკი | 1.25 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 71 | აინტრახტი-შტუტგარტი | 3.40 | 3.20 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 18:30 | 72 | ალემანია-ბაიერნი | 4.80 | 3.30 | 1.75 | 1.95 | 1.28 | 1.14 |
| 18:30 | 74 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 3.30 | 5.20 | 1.12 | 1.28 | 2.01 |
| 18:30 | 75 | ჰერტა-მაინცი | 1.65 | 3.40 | 5.50 | 1.11 | 1.26 | 2.10 |
| 18:30 | 76 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:30 | 77 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.60 | 3.40 | 5.75 | 1.08 | 1.25 | 2.13 |
| 18:30 | 79 | ვოლფსბურგი-შალკე | 3.60 | 3.20 | 2.00 | 1.69 | 1.28 | 1.23 |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 81 | არმინია-ბოხუმი | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 20:00 | 82 | ნიურნბერგი-კოტბუსი | 1.50 | 3.70 | 6.50 | 1.06 | 1.21 | 2.35 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 20:45 | 102 | ბაზელი-ლუცერნი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 20:45 | 103 | თუნი-გრასჰოპერი | 3.30 | 3.30 | 2.05 | 1.64 | 1.26 | 1.26 |
| 20:45 | 104 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 1.65 | 3.50 | 4.85 | 1.12 | 1.23 | 2.03 |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 105 | აარაუ-შაფჰაუზენი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 106 | სიონი-სტ.გალენი | 2.00 | 3.30 | 3.35 | 1.24 | 1.25 | 1.66 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 116 | ემპოლი-რომა | 4.50 | 3.00 | 1.85 | 1.79 | 1.31 | 1.14 |
| 21:00 | 118 | სიენა-მილანი | 4.70 | 3.20 | 1.75 | 1.90 | 1.27 | 1.13 |
| 23:30 | 120 | ინტერი-კალიარი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 122 | ასკოლი-უდინეზე | 3.70 | 3.00 | 2.05 | 1.65 | 1.31 | 1.21 |
| 18:00 | 123 | კატანია-ფიორენტინა | 3.40 | 2.90 | 2.15 | 1.56 | 1.31 | 1.23 |
| 18:00 | 124 | ლაციო-ტორინო | 1.55 | 3.30 | 6.20 | 1.05 | 1.24 | 2.15 |
| 18:00 | 125 | ლივორნო-მესინა | 1.70 | 3.10 | 5.00 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| 18:00 | 126 | პალერმო-კიევო | 1.50 | 3.50 | 7.00 | 1.04 | 1.23 | 2.33 |
| 18:00 | 128 | პარმა-სამპდორია | 2.55 | 2.80 | 2.95 | 1.33 | 1.36 | 1.43 |
| 18:00 | 129 | რეჯინა-ატალანტა | 2.20 | 2.90 | 3.35 | 1.25 | 1.32 | 1.55 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 164 | რეალი-ბეტისი | 1.63 | 3.50 | 5.50 | 1.11 | 1.25 | 2.13 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 171 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1.85 | 3.20 | 4.40 | 1.17 | 1.30 | 1.85 |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 160 | ბილბაო-ხეტაფე | 2.45 | 3.30 | 2.70 | 1.40 | 1.28 | 1.48 |
| 20:00 | 161 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.95 | 3.30 | 3.70 | 1.22 | 1.27 | 1.74 |
| 20:00 | 162 | დეპორტივო-ლევანტე | 1.75 | 3.30 | 4.70 | 1.14 | 1.27 | 1.93 |
| 20:00 | 163 | ოსასუნა-სელტა | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 20:00 | 166 | უელვა-სოსიედადი | 1.85 | 3.40 | 4.00 | 1.19 | 1.26 | 1.83 |
| 20:00 | 167 | რასინგი-ტარაგონა | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 23:45 | 168 | სევილია-ატლეტიკო | 1.95 | 3.30 | 3.70 | 1.22 | 1.27 | 1.74 |
| 22:00 | 170 | ვალენსია-ბარსელონა | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1.40 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 183 | ლილი-ლიონი | 2.85 | 2.90 | 2.60 | 1.43 | 1.35 | 1.37 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 184 | ლორიანი-ტულუზი | 2.05 | 3.00 | 3.75 | 1.21 | 1.32 | 1.66 |
| 23:00 | 188 | ნანსი-პსჟ | 2.00 | 3.00 | 4.10 | 1.20 | 1.34 | 1.73 |
| 23:00 | 190 | სედანი-ოსერი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 23:00 | 191 | სოშო-ლე მანი | 2.10 | 3.00 | 3.60 | 1.23 | 1.32 | 1.63 |
| 20:10 | 192 | სტ.ეტიენი-რენი | 1.90 | 3.00 | 4.60 | 1.16 | 1.34 | 1.81 |
| 23:00 | 193 | ტრუა-ბორდო | 2.80 | 2.90 | 2.60 | 1.42 | 1.34 | 1.37 |
| 23:00 | 194 | ვალენსიენი-ნიცა | 2.30 | 2.90 | 3.30 | 1.28 | 1.35 | 1.54 |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 185 | მარსელი-ნანტი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 21:00 | 186 | მონაკო-ლანსი | 2.65 | 2.90 | 2.80 | 1.38 | 1.36 | 1.42 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 205 | მონსი-ბრიუგე | 4.50 | 3.40 | 1.75 | 1.93 | 1.25 | 1.15 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 206 | ბევერენი-ლოკერენი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:00 | 207 | ანდერლეხტი-მუსკრონი | 1.17 | 5.80 | 12.00 | 1.00 | 1.06 | 3.91 |
| 23:00 | 209 | ბეერსხოტი-ბრიუსელი | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 23:00 | 210 | რუზელარე-შარლერუა | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 23:00 | 211 | სტ.ტრუიდენი-ვესტერლო | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 23:00 | 212 | სტანდარდი-ლიერსი | 1.20 | 5.40 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.62 |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 214 | გენტი-გენკი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 23:30 | 215 | სერკლი-ვარეგემი | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 590 | ანტვერპენი-ვაასლენდი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 254 | პორტუ-ნავალი | 1.30 | 4.70 | 8.50 | 1.01 | 1.12 | 3.02 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 250 | ბოავიშტა-სეტუბალი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 23:45 | 251 | ფერეირა-სპორტინგი | 3.60 | 3.30 | 1.95 | 1.72 | 1.26 | 1.22 |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 247 | ამადორა-ბეირა მარი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 19:00 | 248 | ავეში-მარიტიმუ | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 23:45 | 252 | ლეირია-ბრაგა | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 23:15 | 253 | ნასიონალი-ბენფიკა | 3.80 | 3.20 | 1.90 | 1.73 | 1.26 | 1.19 |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 249 | ბელენენსეში-აკადემიკა | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 264 | ეგალეო-იონიკოსი | 1.20 | 5.70 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |
| 21:00 | 265 | პაოკ-არისი | 2.15 | 2.90 | 3.45 | 1.23 | 1.32 | 1.57 |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 266 | ირაკლისი-ერგოტელისი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 17:00 | 267 | ოფი-კალამარია | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| 18:45 | 268 | კერკირა-ქსანთი | 2.35 | 2.90 | 2.95 | 1.29 | 1.30 | 1.46 |
| 18:45 | 269 | ოლიმპია-პანიონიოსი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 21:00 | 270 | აეკ-პანათინაიკოსი | 2.55 | 2.90 | 2.70 | 1.35 | 1.31 | 1.39 |
| 21:00 | 271 | ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი | 1.11 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.03 | 4.77 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 291 | ამერიკა-ხაგუარესი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 23:45 | 292 | ნეკახა-კრუს ასული | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 293 | პუმასი-სანტოსი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 23:45 | 294 | სან ლუისი-ატლასი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 23:45 | 295 | ტიგრესი-ატლანტე | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 296 | კერეტარო-პაჩუკა | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 23:45 | 297 | მორელია-ვერაკრუსი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 23:45 | 298 | ტეკოსი-ტოლუკა | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 328 | ბორდო-ოსასუნა | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 21:00 | 329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.40 | 4.10 | 7.50 | 1.04 | 1.17 | 2.65 |
| 21:00 | 330 | შახტარი-ნანსი | 1.85 | 3.10 | 4.20 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 21:15 | 331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 2.10 | 3.10 | 3.45 | 1.25 | 1.30 | 1.63 |
| 22:00 | 332 | ფენერბაჩე-ალკმაარი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 23:05 | 334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 23:30 | 335 | ვერდერი-აიაქსი | 1.65 | 3.30 | 5.30 | 1.10 | 1.25 | 2.03 |
| 23:45 | 336 | აეკ-პსჟ | 2.15 | 3.00 | 3.50 | 1.25 | 1.33 | 1.61 |
| 23:45 | 337 | ლივორნო-ესპანიოლი | 2.45 | 3.10 | 2.80 | 1.36 | 1.30 | 1.47 |
| 23:45 | 338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.50 | 3.70 | 6.20 | 1.06 | 1.20 | 2.31 |
| | | 15 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 333 | სტიაუა-სევილია | 2.90 | 3.10 | 2.35 | 1.49 | 1.29 | 1.33 |
| 20:00 | 339 | სპარტაკი მ-სელტა | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 23:00 | 340 | ბრაგა-პარმა | 2.00 | 3.10 | 3.65 | 1.21 | 1.29 | 1.67 |
| 23:45 | 342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.75 | 3.30 | 4.65 | 1.14 | 1.27 | 1.93 |
| 23:45 | 343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 4.00 | 3.10 | 1.90 | 1.74 | 1.28 | 1.17 |
| | | ინგლისი. FA Cup | | | | | | |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 360 | ბოლტონი-არსენალი | 3.00 | 3.20 | 2.35 | 1.54 | 1.31 | 1.35 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 591 | პლიმუთი-დერბი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 592 | უოტფორდი-იფსვიჩი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 21:15 | 593 | მანჩესტერი-რედინგი | 1.30 | 4.80 | 8.00 | 1.02 | 1.11 | 3.00 |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 17:10 | 594 | პრესტონი-სიტი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 20:00 | 595 | ფულემი-ტოტენჰემი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| | | ფინეთი. თასი | | | | | | |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 361 | იარო-ტურკუ | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 20:00 | 362 | ლაჰტი-ჰიკ | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| | | როიალ ლიგა | | | | | | |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 367 | ოდენსე-ჰელსინგბორგი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 20:00 | 368 | ბრიონდბიო-კოპენჰაგენი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 690 | ბოლივარი-ბოკა ხუნიორსი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 23:45 | 691 | აუდაქსი-სან პაულუ | 3.35 | 3.20 | 1.90 | 1.63 | 1.21 | 1.19 |
| 23:45 | 692 | რეალ პოტოსი-ფლამენგო | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| | | 15 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 693 | მარაკაიბო-პარანა | 2.65 | 3.30 | 2.30 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 23:45 | 694 | სერო პ-გრემიო | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 485 | ტრჟინეცი-პლზენი | 1.35 | 4.40 | 4.50 | 1.03 | 1.03 | 2.22 |
| 20:00 | 486 | ვსეტინი-კლადნო | 6.00 | 5.00 | 1.25 | 2.72 | 1.03 | 1.00 |
| 20:30 | 487 | ზნოიმო-ვიტკოვიცე | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 488 | ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 1.95 | 4.20 | 2.60 | 1.33 | 1.11 | 1.60 |
| 21:30 | 489 | ლიბერეცი-ზლინი | 1.70 | 4.40 | 3.00 | 1.22 | 1.08 | 1.78 |
| 21:00 | 490 | კარლოვი ვარი-სპარტა | 2.20 | 4.10 | 2.20 | 1.43 | 1.10 | 1.43 |
| 22:00 | 491 | სლავია-ლიტვინოვი | 1.60 | 4.30 | 3.40 | 1.16 | 1.08 | 1.89 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 560 | ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 3.20 | 4.50 | 1.50 | 1.87 | 1.02 | 1.12 |
| 16:30 | 561 | სიბირი-ხიმკი | 1.85 | [illegible] | 2.50 | 1.28 | 1.06 | 1.56 |
| 20:00 | 562 | ცსკა-ავანგარდი | 2.20 | 4.20 | 2.00 | 1.44 | 1.04 | 1.35 |
| 18:30 | 563 | ლადა-ტრაქტორი | 1.35 | 4.60 | 4.00 | 1.04 | 1.00 | 2.13 |
| 19:30 | 564 | სევერსტალი-ამური | 1.20 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.72 |
| 18:00 | 565 | ს.იულაევი-მაგნიტოგორსკი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 19:30 | 566 | ლოკომოტივი-ნოვოკუზნეცკი | 1.25 | 4.80 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 2.44 |
| 20:00 | 567 | მვდ-კრილია | 1.25 | 4.60 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 2.39 |
| 20:00 | 568 | ასკ-ვიტიაზი | 1.45 | 4.80 | 3.50 | 1.11 | 1.02 | 2.02 |
| | | ჩოგბურთი. კაცები. მარსელი. 14 თებერვალი | | | | | | |
| 14:00 | 661 | ანჩიჩი-სეპი | | | | 1.11 | | 5.00 |
| 14:00 | 663 | ბიორკმანი-ბრაჩიალი | | | | 1.60 | | 2.00 |
| 14:00 | 664 | გასკე-გერნიხი | | | | 1.11 | | 5.00 |
| 14:00 | 665 | გროსჟანი-ი ნიემინენი | | | | 1.60 | | 2.00 |
| 14:00 | 666 | დავიდენკო-სოდერლინგი | | | | 1.40 | | 2.40 |
| 14:00 | 669 | ხიუიტი-ლოდრა | | | | 1.25 | | 3.00 |
| | | ჩოგბურთი. კაცები. სან ხოსე. 14 თებერვალი | | | | | | |
| 22:00 | 670 | ჯ. ბლეიკი-კუნიცინი | | | | 1.04 | | 6.00 |
| 22:00 | 674 | ფ ლოპესი-შუტლერი | | | | 1.35 | | 2.50 |
| 22:00 | 677 | ფიში-გაბაშვილი | | | | 1.15 | | 4.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10328 | ბორდო-ოსასუნა | 2.55 | 2.00 | 3.90 | 1.12 | 1.54 | 1.32 |
| 10329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.85 | 2.20 | 7.00 | 1.00 | 1.46 | 1.67 |
| 10330 | შახტარი-ნანსი | 2.25 | 2.00 | 4.65 | 1.05 | 1.51 | 1.39 |
| 10331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 2.60 | 2.00 | 3.90 | 1.13 | 1.55 | 1.32 |
| 10332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 2.75 | 2.00 | 3.40 | 1.15 | 1.52 | 1.25 |
| 10333 | სტიაუა-სევილია | 3.40 | 2.00 | 2.85 | 1.25 | 1.55 | 1.17 |
| 10334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 3.10 | 2.00 | 3.10 | 1.21 | 1.54 | 1.21 |
| 10335 | ვერდერი-აიაქსი | 2.15 | 2.00 | 5.50 | 1.03 | 1.54 | 1.46 |
| 10336 | აეკ-პსჟ | 2.65 | 2.00 | 4.00 | 1.13 | 1.59 | 1.33 |
| 10337 | ლივორნო-ესპანიოლი | 2.85 | 2.00 | 3.65 | 1.17 | 1.60 | 1.29 |
| 10338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.85 | 2.30 | 6.00 | 1.02 | 1.41 | 1.66 |
| 10339 | სპარტაკი მ-სელტა | 2.60 | 2.00 | 3.90 | 1.13 | 1.55 | 1.32 |
| 10340 | ბრაგა-პარმა | 2.50 | 2.00 | 3.95 | 1.11 | 1.53 | 1.32 |
| 10342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 2.30 | 2.00 | 4.80 | 1.06 | 1.55 | 1.41 |
| 10343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 4.35 | 2.00 | 2.35 | 1.37 | 1.52 | 1.08 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11328 | ბორდო-ოსასუნა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11330 | შახტარი-ნანსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11333 | სტიაუა-სევილია | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11335 | ვერდერი-აიაქსი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11336 | აეკ-პსჟ | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11337 | ლივორნო-ესპანიოლი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11339 | სპარტაკი მ-სელტა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11340 | ბრაგა-პარმა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.85 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12328 | ბორდო-ოსასუნა | 1.60 | 2.00 |
| 12329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.70 | 1.90 |
| 12330 | შახტარი-ნანსი | 1.60 | 2.00 |
| 12331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 2.00 | 1.60 |
| 12333 | სტიაუა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 1.65 | 1.95 |
| 12335 | ვერდერი-აიაქსი | 2.10 | 1.55 |
| 12336 | აეკ-პსჟ | 1.55 | 2.10 |
| 12337 | ლივორნო-ესპანიოლი | 1.55 | 2.10 |
| 12338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.70 | 1.90 |
| 12339 | სპარტაკი მ-სელტა | 1.60 | 2.00 |
| 12340 | ბრაგა-პარმა | 1.90 | 1.70 |
| 12342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.60 | 2.00 |
| 12343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13328 | ბორდო-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.95 | 1.60 |
| 13330 | შახტარი-ნანსი | 1.70 | 1.90 |
| 13331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 1.55 | 2.00 |
| 13333 | სტიაუა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13335 | ვერდერი-აიაქსი | 1.55 | 2.10 |
| 13336 | აეკ-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13337 | ლივორნო-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.90 | 1.60 |
| 13339 | სპარტაკი მ-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13340 | ბრაგა-პარმა | 1.60 | 2.00 |
| 13342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14328 | ბორდო-ოსასუნა | 1.75 | 2.10 |
| 14329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.18 | 2.60 |
| 14330 | შახტარი-ნანსი | 1.60 | 2.30 |
| 14331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 1.75 | 2.10 |
| 14332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 1.80 | 2.00 |
| 14333 | სტიაუა-სევილია | 2.00 | 1.80 |
| 14334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 1.90 | 1.90 |
| 14335 | ვერდერი-აიაქსი | 1.30 | 2.50 |
| 14336 | აეკ-პსჟ | 1.75 | 2.10 |
| 14337 | ლივორნო-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 14338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.20 | 2.60 |
| 14339 | სპარტაკი მ-სელტა | 1.75 | 2.10 |
| 14340 | ბრაგა-პარმა | 1.70 | 2.20 |
| 14342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.60 | 2.30 |
| 14343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 2.20 | 1.70 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15328 | ბორდო-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15330 | შახტარი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15333 | სტიაუა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15335 | ვერდერი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15336 | აეკ-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15337 | ლივორნო-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15339 | სპარტაკი მ-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15340 | ბრაგა-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16328 | ბორდო-ოსასუნა | 1.45 | 2.35 |
| 16329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.12 | 4.60 |
| 16330 | შახტარი-ნანსი | 1.37 | 2.65 |
| 16331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 1.45 | 2.35 |
| 16332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 1.60 | 2.00 |
| 16333 | სტიაუა-სევილია | 1.95 | 1.65 |
| 16334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 1.80 | 1.80 |
| 16335 | ვერდერი-აიაქსი | 1.25 | 3.30 |
| 16336 | აეკ-პსჟ | 1.45 | 2.35 |
| 16337 | ლივორნო-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 16338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.12 | 4.60 |
| 16339 | სპარტაკი მ-სელტა | 1.45 | 2.35 |
| 16340 | ბრაგა-პარმა | 1.45 | 2.35 |
| 16342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.33 | 2.85 |
| 16343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 2.60 | 1.36 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17328 | ბორდო-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.85 | 1.95 |
| 17330 | შახტარი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17333 | სტიაუა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17335 | ვერდერი-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17336 | აეკ-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17337 | ლივორნო-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.85 | 1.95 |
| 17339 | სპარტაკი მ-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17340 | ბრაგა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18328 | ბორდო-ოსასუნა | 1.80 | 1.80 |
| 18329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.25 | 3.50 |
| 18330 | შახტარი-ნანსი | 1.60 | 2.10 |
| 18331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 1.75 | 1.90 |
| 18332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 2.20 | 1.50 |
| 18333 | სტიაუა-სევილია | 4.80 | 1.15 |
| 18334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 2.45 | 1.45 |
| 18335 | ვერდერი-აიაქსი | 1.35 | 2.70 |
| 18336 | აეკ-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 18337 | ლივორნო-ესპანიოლი | 2.15 | 1.60 |
| 18338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.25 | 3.35 |
| 18339 | სპარტაკი მ-სელტა | 2.25 | 1.60 |
| 18340 | ბრაგა-პარმა | 2.00 | 1.65 |
| 18342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.80 | 1.80 |
| 18343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 4.70 | 1.15 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ნოდარ ეგრალიძე

# მარადი ქართველი

## ზურაბ ჯინჭარაძე: ვაჩნაძის სახელის ხსენებაზე ფრანგული საცხენოსნო სკოლა ფეხზე დადგა

სომიური საფრანგეთის და ამდენად ევროპის ცხენოსნობის ძველი და სახელგანთქმული ცენტრია. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ამ პატარა ქალაქის საცხენოსნო სკოლის სახელი ხშირად ხმიანდება სპეციალურ ლიტერატურაში, როცა ლაპარაკია კლასიკური სახეობების, განსაკუთრებით კი სამჭიდის შესახებ. ჩემთვის ახალი მნიშვნელობა შეიძინა ამ სკოლის სახელმა, როცა საქართველოს თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა გაზეთში ნავიკითხე, რომ 1921 წლის კოჯრის ბრძოლების მონაწილე იუნკერი ივანე ვაჩნაძე მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის არმიაში სამსახურის შემდეგ სომიურის სკოლაში მუშაობდა მწვრთნელად. ეს ცნობა სპორტულმა მოღვაწემ და მკვლევარმა ჯ. ზალდასტანიშვილმა შეიტანა თბილისის ენციკლოპედიის (2002 წ.) სტატიაში „ცხენოსნობა“, სადაც კუთვნილი ადგილი ეთმობა ქართველ მხედართა ღვაწლს საქართველოს ახალ ისტორიაში. შარშან ზაფხულს კვლავ შემახსენა თავი ამ ქალაქმა — ამჯერად დღევანდელი მხედრის ზურაბ ჯინჭარაძესთან დაკავშირებით. ზურაბი 35 წლის უნივერსალური სპორტსმენი ცხენოსანია. წლების მანძილზე ყოფილა ჟოკეიც — სადა და სტიპლ-ჩეიზის დოლებში, კონკურისტიც და სამჭიდელიც — როგორც ჩვენი, ისე რუსეთის, უკრაინის, უნგრეთის იპოდრომებსა და მოედნებზე, უმუშავია ინგლისში და გერმანიაში ბერეიტორად (ცხენების მხედნელად). ბოლო წლებში თბილისის „ჟოკეიკლუბის“ მხედარი იყო, ხშირად გაუმარჯვია შინაურ და „კავკასიის თასის“ ასპარეზობებზე, მისი ცხოვრება ისე აეწყო, რომ კიევში გაემგზავრა ჰოლანდიელ მეუღლესთან ერთად, რომელიც იქ მუშაობს და ადრე გერმანიიდან შეყვანილი საკონკურო ფაშატი ჰყავდა ნაყიდი. ახლა კი ზურაბი და „ლენტეხი“ (ასე გადაარქვა სახელი ჰოლშტაინური ჯიშის 10 წლის „ეგზოტიკას“), შემოდგომის დამდეგიდან სომიურში არიან. ზურაბის აქაურ მეგობრებს ვთხოვე, შემხმიანებოდა...



ზურაბ ჯინჭარაძე

ალექსანდრე კოტრიკაშვილის ფოტო

### ზარი პირველი

**— ზურაბ, მართლა ისეთი სკოლა გამოდგა, როგორიც გაგვეგონა და წაგვეკითხა?**

— ბევრად უკეთესი, ვიდრე წარმოგვედგინა. ამ პატარა ქალაქში მთელი საცხენოსნო დაბაა: 2 იპოდრომი აქვთ, 13 საკონკურო მოედანი, ცხენის გაწვრთნის 8 მანეჟი, რომელთა კედლებს, არენას, მაყურებელთა ტრიბუნებს, როგორც ვარჯიშისა თუ ასპარეზობის პირობები მოითხოვს, ისე გადააწყობენ ხოლმე; უზარმაზარი ბიბლიოთეკა, ათეულობით მწვრთნელი კლასიკური ცხენოსნობის სამივე სახეობაში, დამატებით დისციპლინებში, მაგალითად, ვოლტაჟირებაში, ზოოტექნიკის, ვეტერინარიის სპეციალისტები...

**— მერე ვინ ვარჯიშობს ამ სკოლაში?**

— სხვადასხვა ჯგუფებია. საკუთრივ საფრანგეთის ნაკრები გუნდები, მათი კანდიდატები; სამხედრო მოსამსახურეები. მათთვის სხვაგანაც არის საცხენოსნო ბაზები, მაგალითად, ფონტენებლოში. ხუმრობა ხომ არაა ამხელა პროგრამის განხორციელება. მე არ ვიცოდი და, თურმე საფრანგეთში ყველა ჯარისკაცი (ქვეითი, ტანკისტი, მფრინავი...) აუცილებლად მეცადინეობს ცხენოსნობაშიც. ფიზიკური და სულიერი, ანუ მხედრული აღზრდის საუკეთესო საშუალებააო.

**— შენსავით უცხოელები თუ არიან?**

— როგორ არა. მთელი ევროპიდან არიან. ჩვენ ფასიანი სწავლების კურსს გავდივართ. ჩემსავით საკუთარი ცხენებიც ჰყავთ ჩამოყვანილი, მაგრამ ერთ ცხენზე ვარჯიშს ვინ დაგაჯერებს. მე პირადად „ლენტეხის“ გარდა ოთხ სპორტულ ბედაურს ვავარჯიშებ კონკურსა და სამჭიდში. პირველი, 10-თვიანი კურსი II ხარისხის საერთაშორისო მწვრთნელის ლიცენზიის მონიჭებას გულისხმობს, თუ შემოდგომიდან ახალ კურსს გავაგრძელებთ, ევრორაიტის სერტიფიკატსაც მივიღებთ.

**— შეჯიბრებებზე თუ გამოდიხარ?**

— აქვე, სომიურში, უკვე ექვს ასპარეზობაზე გამოვედი, ჩემი ცხენით — ორჯერ. საშობაოდ ძალზე საინტერესო კონკური იყო — 130 სანტიმეტრზე, ჯოკერ-დაბრკოლებით. თანაც ეს არაა ჩვეულებრივი ასპარეზობა. მწვრთნელი ყოველი დაბრკოლების წინ ტექნიკურ-ტაქტიკურ ამოცანას გისახავს, რომელიც აუცილებლად ზუსტად უნდა შესრულდეს. ასე რომ, მხოლოდ საჯარიმო ქულები არ წყვეტს შედეგის ბედს. ამას ემატება თვალდათვალ შეფასება — ჯდომის, საერთო მანერისა. თითქოს ყველა მოთხოვნა ნაცნობი იყო, მაგრამ ამ ტიპის ყოველდღიური ვარჯიში, ყველაფრის ვიდეოკასეტებზე გადაღება, გაანალიზება, უმკაცრესი მიდგომა მეცადინეობისადმი ნამდვილად უცხოა ჩვენთვის.

მწვრთნელობის სკოლასაც გავდივართ. კვირაში ორჯერ პონიკლუბებში ანუ საბავშვო საცხენოსნო სკოლებში ჩვენ თვითონ უნდა ჩავატაროთ მეცადინეობა. ჯგუფის წინაშე კი ყოველი ჩვენგანი მოხსენებით გამოვიდა; თავის ქვეყანას, იქაურ ცხენოსნობას ვაცნობდით თანაკურსელებს. მეც შევეცადე ქართული ეროვნული ცხენოსნობის შესახებ მიმეწოდებინა აუცილებელი ცნობები. ყურადღებით მომისმინეს, მწვრთნელებმაც მათ შორის.

თქვენს ბიჭებს აქამდე რაგბის მეშვეობით ვიცნობდით, ახლა ცხენოსნობითაც გაგიცნობთო, მითხრეს. ისე, „მოხსენებამდე“ ჩემს ეროვნებაში არც იყვნენ კარგად გარკვეულნი.

— რამდენადაც ვიცი, სომიურში ქართველ მხედარს ადრეც იცნობდნენ-მეთქი, დავეკითხე ზურაბს და ივანე ვაჩნაძის ამბავი ვუთხარი... მან მთხოვა, დამატებით მიმეწოდებინა სხვა ცნობებიც, ეგებ, ფრანგებთან საუბარში დამჭირდესო. მართლაც, ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში „საქართველოს“ ენციკლოპედიის II ტომისთვის უკვე მზად ჰქონიათ სტატია ივანე ვაჩნაძის შესახებ. ამოვკრიბე კიდეც ბატონ მამუკა წურწუმიას წერილიდან საგულისხმო ინფორმაცია სომიურიდან სატელეფონო ზარის მოლოდინში...

### ზარი მეორე

— არ ვაზვიადებ, ვაჩნაძის სახელის ხსენებაზე მთელი სკოლა ფეხზე დადგა. ჩემმა პირადმა მწვრთნელმა ერიკ ბეინამ მთავარ შენობაში წამიყვანა. იმ დარბაზს, საიდანაც 1975 წელს ივანე, იგივე ჟან ვაჩნაძე გამოუსვენებიათ, მემორიალური წარწერა ამშვენებს. სკოლის ახლანდელმა შეფმხედარმა ბორგარმა მითხრა, რომ თვით გენერალი დიურანი დაინტერესდა შენი პიროვნებით და, ალბათ, შინ, საკუთარ სახლში მიგვიწვევსო.

**— მიგიწვიათ?**

— გენერალი დიურანი ვაჩნაძის ნამოწაფარია. ბოდიში, რომ სახელები არ ვიცი. აქ ასე, გენერლობით მიმართავენ. თავისი წოდებისა და ასაკის შესაფერისი სუფრა გაგვიშალა. ბევრი გვესაუბრა.

**— მაინც როგორ დაუტოვებია ივანე ვაჩნაძეს ასეთი სახელი?**

— ესენი უმაღლესი რანგის პროფესიონალი ცხენოსნები არიან და პირველ რიგში — თავისი მხედრობით. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე აქ რუსეთიდან გადმოხვეწილი ბევრი კავალერისტი მხედარი იყო და ისინი დოლებში, სტიპლჩეიზში გამოდიოდნენ. ვაჩნაძე უპირველესი ყოფილა მათ შორის. მეორეც — გამორჩეული იყო ცხენებთან ურთიერთობაშიო. თუ ცხენი არ უყვარდა, მისთვის ასეთი მოწაფე არარაობას წარმოადგენდა.

ცხადია, აქ პიროვნებათან ურთიერთობის ის დონე იგულისხმება, რომელიც გამორიცხავს მოჩვენებითობას, დაშტამპულ კორექტულობას, ფარისევლურ ჟესტს.

**— სამხედრო დამსახურებაზე თუ ითქვა რამე?**

— ომის დროს ჩრდილო აფრიკაში პატარა ესკადრონის უფროსი ყოფილა. იქ სადაც მისი დიდი თანამემამულე, საფრანგეთის ეროვნული გმირი დიმიტრი ამილახვარი დაიღუპაო. ვაჩნაძე პირადი გმირობით აგულიანებდა თავის მხედრებს. საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი იყო. მაიორის ჩინით დაამთავრა სამხედრო სამსახური, თუმც თუ ვინმეს უნდა მიეღწია გენერლობისთვის, ეგ უნდა ყოფილიყო; მაგრამ, ჯერ ერთი — საფრანგეთის მოქალაქეობა არ მიიღო — სიკვდილამდე საქართველოს მოქალაქედ დარჩა! და, გარდა ამისა — აი, მოხუცი ფრანგი გენერლის პირით ჩემთვის, უცხოელი კურსანტისთვის, ამ ნათქვამმა კი, მართალი გითხრათ, ცოტა გამაკვირვა — მლიქვნელობა და პირფერობა არ სჩვეოდა; ჭეშმარიტი არისტოკრატული უბრალოებით, ხელგაშლილობით ყველასგან გამოირჩეოდაო.

**— როგორც სპორტსმენზე თუ გითხრეს რამე?**

— იმავე დიურანმა: სწორედ უცხო ქვეყნის მოქალაქეობის გამო ვერ შეჰყავდათ საფრანგეთის ნაკრებში, თორემ სომიურის სკოლის ადრინდელი შეფმხედარი გენერალი მარგო, რომელსაც რომის ოლიმპიადაზე და ევროპის პირველობებზე დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული, სწორედ ვაჩნაძეს ანდობდა თავისი ცხენების მომზადებასო. თეორიაშიც ძლიერი იყოო.

სხვათა შორის, სომიურში ყოველი შეფმხედარი ვალდებულია, წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი ხედვა, პრინციპები ამა თუ იმ სახეობაში ცხენ-მხედრების მომზადების, ტრენინგის თაობაზე. „მარგოს პოსტულატები“ ცნობილია სომიურის სკოლაში აი, ეს დებულებები კი ივანე ვაჩნაძის რედაქციით ყოფილა დამუშავებული.

„ცხენოსნობა არ გვიკვირს, მაგრამ ჩვენზე კარგად ფრანგულად რომ წერდა და გრამატიკაც იცოდა, ეს კი მართლა საოცარია“ — გვითხრა დიურანმა.

**— არ იკითხე, ოჯახი თუ დარჩა-თქო?**

— როგორ არ ვიკითხე. ოჯახს არ მოჰკიდებია. ამაზე მეგობრები წუხდნენ, ურჩევდნენ, მარტო ნუ დარჩებიო. ასე უთქვამს: „მე არა მაქვს დაქორწინების უფლება, საქართველოში დანიშნული მყავსო!“

* * *

ამით დამთავრდა ზურაბისა და ჩემი საუბარი. გენერალი დიურანი შეჰპირებია, ჩემს არქივს გადავხედავ, საინტერესო ფოტოებსა და სხვა მასალას მოგაწვდითო.

რა თქმა უნდა, ვილაპარაკეთ ქართული ცხენოსნობის მომავალზე. ეს საუბარი სომიურსაც უკავშირდება, იქაური სამჭიდის ტრადიციებს, ყულარის ცხენსაშენის ბედაურების შესაძლებლობებსაც ამ დარგში, თბილისში დარჩენილ ნიჭიერ ჭაბუკებსაც, სპონსორების გამოჩენით ურთიერთხელსაყრელ შედეგებსაც...

ცხადია, რომ ზარს კვლავაც ველი.

# ორმაგი სტუდენტური როქი - ბერიშვილი და მათიაშვილი. + მარკოიშვილი და სანიკიძე?



ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს რიჩარდ მათიაშვილი გამოაკლდება

სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ეროვნულ ჩემპიონატში მთლად ისე ვერ აქვს საქმე, როგორც მის ამბიციებს შეესაბამება — თსუ-მ სუპერლიგაში ვერც ერთი თამაში ვერ მოუგო უმთავრეს კონკურენტებს — რუსთავის „აზოტსა" და თბილისის „ავიამშენს". ის კი არა, შესაძლოა, სტუდენტები ორმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვოს: რიჩარდ მათიაშვილსა და მიხეილ ბერიშვილს უკვე მოუვიდათ ამერიკის სტუდენტური ლიგის გუნდებიდან მოწვევა და თუ საკონსულო საქმეებმა ხელი არ შეუშალათ, იქითა კვირაში ოკეანგაღმა გაემგზავრებიან. მიუხედავად ამისა, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი მაინც იმედიანადაა — ის საპლეიოფოდ უცხოეთში მოთამაშე ეროვნული ნაკრების წევრებს ელის და იმედი აქვს, მათი დახმარებით ჩემპიონობისთვისაც იბრძოლებს. ამ ამბებთან დაკავშირებით თსუ-ს თავკაცს გუშინ ვესაუბრეთ...

— თქვენმა გუნდმა უკვე 4 თამაში წააგო ჩემპიონატში, არადა, თავიდან დიდი ამბიციები გქონდათ...

— ჩემი ამბიცია თავიდან ყოველთვის პლეი ოფში მოხვედრაა. სეზონის დასაწყისში არასდროს ვამბობ, ჩემპიონები უნდა გავხდეთო. მთავარი მიზანი პლეი ოფში გასვლაა, დანარჩენზე მერეღა ვფიქრობ ხოლმე.

— ამ გუნდით პლეი ოფში მოხვედრა ძალიან იოლია. თსუ საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, ოთხეულში რომ მოხვდეს...

— ეგ მართალია, მაგრამ, შესაძლოა, უახლოეს მომავალში საგრძნობლად დავსუსტდეთ. ჩვენს წამყვან მოთამაშეებს — რიჩარდ მათიაშვილსა და მიხეილ ბერიშვილს ამერიკიდან მოწვევა მოუვიდათ. სტუდენტური ლიგის გუნდები მზად არიან ისინი შეიმატონ და თუკი ამერიკის ვიზას მიიღებენ, მათიაშვილი და ბერიშვილი დაგვტოვებენ. მიშა პარასკევს გადის გასაუბრებაზე ამერიკის საელჩოში.

— **თქვენ თანახმა ხართ, ასეთ რთულ ვითარებაში წამყვან მოთამაშეებს შეელიოთ?**

— ისინი ახალგაზრდები არიან, ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სასწავლი და წასვლაში ხელი რომ შევუშალოთ, მათი მტრები უნდა ვიყოთ. თსუ არავითარ პრობლემას არ შეუქმნის მათ. პირიქით, რაც შეგვეძლება, დავეხმარებით.

— **მათ გარეშე მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ? ჩემპიონობაზე, ალბათ, ვეღარ იფიქრებთ.**

— რატომაც არა. ისინი თუ მიდიან, შევსებასაც მივიღებთ. სიტყვიერი შეთანხმება გვაქვს მანუჩარ მარკოიშვილსა და ვიქტორ სანიკიძესთან, რომლებიც, როცა თავიანთ გუნდებში თამაშს მორჩებიან, პლეი ოფში დაგვეხმარებიან.

— **ეგ იურიდიულად შესაძლებელია?**

— მარკოიშვილს კონტრაქტი უთავდება და სეზონის დასრულების შემდეგ თავისუფალია. მას რამდენიმე გუნდი ელაპარაკება, მაგრამ უმალვე ხომ არ გადავა?! ერთი სიტყვით, თუკი „ოლიმპიაში" დროულად მორჩა თამაშს, ჩვენთან ჩამოვა. სანიკიძეს უფრო გაწელილი სეზონი აქვს, მაგრამ არის იმის შანსი, მანაც მოახერხოს თსუ-ში თამაში. თუკი კალენდარმა არ შეუშალა ხელი, ვიქტორი აუცილებლად დაგვეხმარება. ის არაა უარზე — თსუ-ს პრეზიდენტი მამამისია, ხოლო მისი ძმა, ზურა, ჩვენთან თამაშობს. ერთ-ერთი, ალბათ, აუცილებლად დაგვეხმარება. შესაძლოა, ორივეც.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

11 თებერვალი

**იუტა 102:76 ატლანტა**
იუტა: უილიამსი (7), ფიშერი (14), კირილენკო (11), ოქური (19), კოლინზი (3); მილსაპი (13), ჰარპრინგი (11), გირიჩეკი (10), არაუხო (4), ბრაუნი (4), ბრიუერი (4); მილზი (2)
ატლანტა: აივი (6), ჯონსონი (14), მ. უილიამსი (15), სმიტი (10), რაიტი; ფაჩულია (19 წუთი, 10 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), ჩილდრესი (8), შ. უილიამსი (8), კლაქსტონი (2), სტუდემაიერი (2), ჯონსი (1), მედვედენკო

**დეტროიტი 92:74 კლიპერსი**
დეტროიტი: ვებერი (19), ჰამილტონი (15), პრინსი (14)
კლიპერსი: მობლი (17), მაგეტი (15), კამანი (13)

**დენვერი 123:111 გოლდენ სტეიტი**
დენვერი: სმიტი (28), ენტონი (28), ილარიო (24), ბლეიკი (13 პასი)
გოლდენ სტეიტი: ჰარინგტონი (24), აზუბუიკე (23), ელისი (14)


ზაზა ფაჩულიამ ჯეირომ კოლინზი არ გაატარა

# ჯაზი დაღლილი მუშებისთვის

**ზედიზედ** 5 გასვლითი მატჩის მომგებმა „ატლანტამ" მეექვსე ველარაფერი მოუხერხა — ზაზა ფაჩულიას „ჰოქსი" უიმედოდ დამარცხდა „იუტა ჯაზთან". ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგო და აქვს შეხვედრაში ხუთი გამარჯვება დაუგროვდა მას შემდეგ, რაც საუკეთესო მოთამაშე, მატჩში საშუალოდ 22 ქულის და 10 მოხსნის მკეთებელი კარლოს ბუზერი დაემტვრა.

სოლტლეიკელ „ჯაზმენებს" დასავლეთში ქალაქიდან ქალაქში ხეტიალით დაღლილ „ატლანტასთან" თავიდანვე არ შექმნიათ პრობლემის მაგვარიც კი. ზაზას თანაგუნდელები პირამიდის მშენებლობიდან წამოსული მუშებივით დალასლასებდნენ და ორ ფარს შუა მოვალეობის მოხდის გამო მოძრაობდნენ. „იუტამაც" პირველი მეოთხედი 22:13 მოიგო, მეორეში 9-ქულიან სხვაობას ერთი ამდენიც დაამატა და მესამეში 29 ქულითაც გაექცა მეტოქეს.

„ბუზერი არ გვყავს და მით უმეტეს, ვერ მივცემთ თავს მოდუნების და „ისე რა" თამაშის უფლებას — ამბობდა ნამატჩევს „ჯაზის" თავკაცი ჯერი სლოუნი — ყველას მაქსიმალურად დახარჯვას ვთხოვ და ამიტომაც არ ვიძირებით."

იძირება კი არა, „იუტა" კვლავაც დამაჯერებლად ლიდერობს ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონში და მძლავრი გუნდებით გადაჭედილ დასავლეთ კონფერენციაში „დალასისა" და „ფინიქსის" შემდეგ მყარად უკავია მესამე ადგილი.

იმავ დივიზიონის კიდევ ერთმა ამბიციურმა გუნდმა „დენვერმა" ერთხანს მეორე ადგილიც დაკარგა და წინ „მინესოტა" გაუშვა, მაგრამ თანდათან ფეხზე მოდის და ცდილობს, „კუთვნილი" დაიბრუნოს. ორშაბათს კოლორადოელებმა ალენ აივერსონის გარეშე და კარმელო ენტონისა და ჯეიარ სმიტის მეთაურობით სძლიეს უბაირონდევისო „გოლდენ სტეიტს", რომელიც პლეი ოფისთვის დავაში მათ კონკურენტად ჩაითვლება.

დღის მესამე თამაშში კი აღმოსავლეთის ლიდერმა „დეტროიტმა" რიგითი დასავლელი, „კლიპერსი" დასცა და ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება ჩაიტკივა.

**კოტე ყორშია**

## კვირის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი
**დუეინ ვეიდი (მაიამი)**

### დასავლეთი
**კარმელო ენტონი (დენვერი)**






გასული კვირის რჩეულ მოთამაშეებად ნბა-მ დასავლეთში კარმელო ენტონი, აღმოსავლეთში კი დუეინ ვეიდი დაასახელა.

ენტონის გუნდ „დენვერს" მეტოქე მეტოქეზე არ მიუწვენია, წინა კვირას ოთხი თამაშიდან 2-2 მოიგ-წააგო, მაგრამ თავად კარმელომ გამოიდო თავი და ამ ოთხ მატჩში საშუალოდ 30,3 ქულა, 8,3 მოხსნა და 7,8 პასი მოიხვეჭა, რითაც კიდევ ერთხელ ანიშნა ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნს და სხვა პატივცემულ გვამებს, რომ ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია და ოლ სტარში თამაშს სხვებზე მეტადაც იმსახურებს.

რაც შეეხება ვეიდს, „მაიამის" ლიდერმა თავის გუნდს ოთხი თამაშიდან სამი მოაგებინა 27,5 ქულითა და 8,8 პასით.

**კვირის სიმბოლური ხუთეული:** დუეინ ვეიდი (მაიამი), ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი), კარმელო ენტონი (დენვერი), დირკ ნოვიცკი (დალასი), კრის ბოში (ტორონტო)

საქართველოს მესამე ჩემპიონატი ყინულზე ცოცვაში. ტანას ხე

ერთიანი ბიბლიოთეკა

# აბა, ყინულზე გვნახეთ, ვინა ვართ!





**საქართველოს** მთამსვლელთა ფედერაციამ 2005 წელს ყინულზე ცოცვაში ქვეყნის ჩემპიონატი დააწესა და იგი ტიანშანზე, მწვერვალ „პობედაზე" 1961 წელს დაღუპულ ქართველ ალპინისტთა ხსოვნას ეძღვნება.

ამ შეჯიბრების ძირითადი მიზანი რთულ ყინულოვანი მონაკვეთის დასაძლევად ტექნიკური დონის ამაღლება და უახლესი აღჭურვილობის გაცნობა-ათვისებაა, რადგან ალპინისტი თანაბრად კარგად უნდა ფლობდეს მთის რელიეფზე (კლდე, თოვლი, ყინული და ა.შ.) გადაადგილებისა და დაცვის ტექნიკურ არსენალს, რასაც მათი მომზადების უკლებლივ ყველა ეტაპზე ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი ეთმობა.

ქართველ კაცს, მთაგორიანი ქვეყნის შვილს, თოვლისა და კლდეთა გარემოში ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილის გატარება უწევს. ამით აიხსნება ალბათ ის ფენომენიც, რომ თავის დროზე ალპინიზმი ჩვენში, სულ მოკლე დროში, სპორტის ეროვნულ სახეობად იქცა. მრავლად მოგვეპოვება ფაქტები, როცა სათანადო ალპინისტური მომზადების გარეშე ჩვენი მთის რაინდები სპორტის ამ სახეობაში ნამდვილ სასწაულებს ახდენდნენ.

ყინულის რელიეფი, რომლის დაძლევაც მთამსვლელებს უხდებათ, მრავალფეროვანია (დამრეცი ფერდობები, კულუარები, კედლები, კარნიზები და სხვა). აქედან გამომდინარე, ყინულზე გადაადგილებასა და დაცვის ორგანიზაციას, სპეციალურ აღჭურვილობასთან ერთად, ხანგძლივი, მიზანმიმართული მომზადება და გამოცდილების დაგროვება სჭირდება.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მთების ბუნებრივი გარემო (კლდესა და თოვლთან შედარებით) ყინულის ტექნიკის დაუფლების შესაძლებლობას არ იძლევა, გასაგები გახდება, თუ ქართველ მთამსვლელთა დიდი ნაწილი გაცილებით კარგად რატომ გრძნობს თავს კლდესა და თოვლზე, ვიდრე ყინულზე. ეს ნაკლი ქართული ალპინისტური სკოლის დამახასიათებელი ნიშანია.

ამასთან, მრავლად გვყავდა უმაღლესი კლასის ალპინისტები (მათი უმრავლესობა სტაციონალურ ალპინისტურ ბანაკებშია აღზრდილი), რომლებიც სრულყოფილად ფლობდნენ კლდესა და თოვლთან ერთად ყინულზე უმაღლეს ტექნიკას. ამის დასტურად გამოდგება ქართველ მთამსვლელთა თვალსაჩინო მიღწევები სსრკ ჩემპიონატებზე ალპინიზმში.

სსრკ ჩემპიონატები ალპინიზმში სპორტული შედეგებით ევროპისა და მსოფლიო ალპინიზმის მიღწევებს არ ჩამორჩებოდა და ხშირად მათ უსწრებდა კიდეც, რასაც უცხოელი ექსპერტებიც ადასტურებდნენ.

ის, რომ სსრკ ალპინისტური სკოლა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი იყო, იმ ქვეყნის დაშლის შემდგომ პერიოდშიც დადასტურდა, როცა მის წარმომადგენლებს მსოფლიო არენაზე თავისუფალი გასვლის შესაძლებლობა მიეცათ. ბოლო ათწლეულის ურთულესი ასვლების დიდი ნაწილი, მათ შორის 8000-სა და უფრო მაღალი სიმაღლის მწვერვალებზე რუსების, უკრაინელების, ყაზახების და ყოფილი სსრკ-ს სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლების მიერაა შესრულებული.

დასანანია, რომ მათ შორის ვერ ვხვდებით ქართველ მთამსვლელთა სახელებს, რომლებიც არც თუ შორეულ წარსულში ტოლს არ უდებდნენ რუს და უკრაინელ ალპინისტებს.

მაგრამ დავუბრუნდეთ უშუალოდ ყინულს, სადაც ვარჯიშების ჩასატარებლად აუცილებელია მაღალმთიან ზონაში გასვლა (სულ ცოტა მყინვარების რაიონში), რაც სტაციონალური ალპინისტური ბანაკების არარსებობის პირობებში გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

ბარში, თბილისთან უშუალო სიახლოვეს, ყინული მხოლოდ ზამთრის პერიოდში გვხვდება და ისიც გაყინული ჩანჩქერების სახით. მათი უმეტესობა არ აკმაყოფილებს დადგენილი სტანდარტებს (ყინულის ფაქტურა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ.) და ვარჯიშების, მითუმეტეს შეჯიბრებების ჩასატარებლად უვარგისია.

ამ რამდენიმე წლის წინათ გორის ტურისტულ-ალპინისტური კლუბის „ტონთიოს" წევრებმა ტანას ხეობაში (სოფელ ბიისის მახლობლად) მიაკვლიეს სამ გაყინულ ჩანჩქერს, რომლებიც ერთმანეთის გვერდიგვერდ რკალად მდებარეობენ.

ყინულის ფაქტურა, ზომები ვერტიკალსა და ჰორიზონტალში წლის კლიმატურ პირობებზე მკვეთრადაა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ცენტრალურ ჩანჩქერზე, რომლის სიმაღლე 60 მეტრს აღემატება, შესაძლებელია როგორც ვარჯიშების, ისევე შეჯიბრის ჩატარება, რასაც აგრეთვე თბილისთან მათი სიახლოვეც (გორიდან 28 კმ.) ხელს უწყობს.

შარშანდელთან შედარებით წლეულს ზამთარი ნაკლებად სუსხიანი გამოდგა, ამიტომაც შეჯიბრისათვის ვარგისი მხოლოდ ცენტრალური ჩანჩქერის ქვედა ნაწილი (35 მეტრი ვერტიკალში) აღმოჩნდა. უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე ჩემპიონატი მხოლოდ ერთ სახეობაში ჩატარდა.

საშეჯიბრო ტრასების მომზადება გამოცდილ მთამსვლელთა ჯგუფს (ირაკლი კაპანაძე, ირაკლი ჟღენტი, გიგი მახარაძე) ირაკლი კორძახიას ხელმძღვანელობით დაევალა.

ასპარეზობის ორგანიზაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ კლუბ „ტონთიოს" მესვეურები და აქტივისტები.



ლევან თათარაშვილი, ლადო დანგაძე და გიორგი ნიგურიანი

მონაწილეთა გარდა (33 კაცი და 6 ქალი) შეჯიბრზე დასასწრებლად თბილისიდან, გორიდან და მახლობელი სოფლებიდან 150-ზე მეტი ალპინისტი, ტურისტი და მთის მოყვარული ჩამოვიდა.

ასპარეზობას მოემსახურა მსაჯთა ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები დიმიტრი დანგაძე (მთავარი მსაჯი), აკაკი ხერგიანი (მთავარი მსაჯი მოადგილე), ალექსანდრე ცერცვაძე, ზაზა ცერცვაძე და ქეთევან ახვლედიანი.

ჩემპიონატში გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო მთამსვლელის ინვენტარის პრიზები (შპს „გეოლენდი" — ინდივიდუალური სანავიგაციო სისტემა, კლუბი „მოგზაური" — წრიაპი და ზურგჩანთა, საადვოკატო ბიურო „პატარაია და პარტნიორები" — გამაშები და სპეციალური სათხილამურო ჯოხები; მთამსვლელი მირიან მირიანაშვილი — ზურგჩანთა) ყოველივე ამან კი პირველობისთვის ბრძოლა უფრო გაამძაფრა.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულთა ტექნიკური დონე, წინა წლებთან შედარებით, უფრო მაღალი აღმოჩნდა.

ვფიქრობ, მომავალში უნდა დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები, რათა დამწყებსა და გამოცდილ სპორტსმენებს ერთად არ უწევდეთ გამოსვლა. ამისათვის კი აუცილებელია სპორტული ხარისხების დაწესება.

ვაჟთა შეჯიბრში 33 სპორტსმენი მონაწილეობდა. მათგან ტრასა 25 მონაწილემ დაამთავრა (8 მონაწილე მოწყდა ან საკონტროლო ვადის გადაცილების გამო მოიხსნა ტრასიდან).

პირველ-მესამე ადგილზე გასულმა სპორტსმენებმა ტრასა 1 წუთზე ნაკლებ დროში დაძლიეს. შესაბამისად, ესენი იყვნენ კლუბ სამთო მოგზაურის წევრი ლევან თათარაშვილი (53 წმ.), თსუ-ს ალპკლუბის წარმომადგენელი ლადო დანგაძე (55 წმ) და მესტიელი გიორგი ნიგურიანი (59წმ).

ქალთა შეჯიბრი ასევე ვაჟთა ტრასაზე ჩატარდა. პირველი სამ ადგილზე გავიდნენ თსუ-ს ალპკლუბის წევრები სალომე მჭავარიანი (2 წთ და 27წმ), ნუცა ხუციშვილი (3 წთ და 17წთ) და სოფო იმნაიშვილი (5 წთ და 25 წმ).

განსაკუთრებით აღსანიშნავია სალომე მაჭავარიანის მიერ ნაჩვენები შედეგი, რომელმაც ვაჟ მონაწილეთა უმეტესობას აჯობა.

**შოთა მირიანაშვილი**
*საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი*

ავტორის ფოტოები




# ერთწლიანი ტაიმ აუტი

## მიზეზ-მიზეზ თბილისს ტურნირი დააკლდა

გასული წლის ბოლოს შედგენილ 2007 წლის კალენდარში საქართველოს ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ, ცხადია, გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირებიც შეიტანა. ამ ორი შეჯიბრისთვის სპორტის სასახლეს 14-15 ივლისს უნდა ემასპინძლა, მაგრამ უკვე გადაწყვეტელია, რომ ბალავაძე-კარტოზია წლეულს აღარ გაიმართება. საორგანიზაციო ხარჯები თავისუფალი და ბერძენ-რომაელთა ნაკრებების უკეთ მომზადებას მოხმარდება. საერთაშორისო ტურნირებს კი, სავარაუდოდ, ერთჯერადი შიდა პირველობა ჩაენაცვლება. კალენდარში შეტანილ ცვლილებებზე ფედერაცის პრეზიდენტმა **კახა ბენაძემ** მოგვახსენა

— წლევანდელი სეზონი ჩვენი ნაკრებებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გადავწყვიტეთ, თბილისის საერთაშორისო ტურნირების ჩატარებისგან თავი შევიკავოთ. მისთვის დასახარჯი ფინანსები და დრო კი გუნდებს მოვახმაროთ.

— საერთაშორისო ფედერაციასაც აცნობეთ?

— ფილაში გასაგზავნი წერილი უკვე გამზადებული გვაქვს. მასში კონკრეტულადაა ჩამოთვლილი ის მიზეზები, რომელთა გამოც ტურნირის ერთი წლით შეჩერებას ვითხოვთ. ფილა, თავის მხრივ, ფედერაციებს გააფრთხილებს.

— ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, სპორტის სასახლეში მოსალოდნელი სარეკონსტრუქციო სამუშაოებიცაა...

— რა თქმა უნდა, ესეც სერიოზული პრობლემაა. შეიძლებოდა, ტურნირების სხვა დარბაზში გადატანას გაცილებით მეტი პრობლემა გამოეჩინა.

— ფილადან ფინანსურ სანქციებს არ მიიღებთ?

— ალბათ, ვერ ავცდებით, მაგრამ ჯარიმის — რამდენიმე ათასის გადახდა გვიჯობს 180-ათასლარიანი საორგანიზაციო ხარჯის გაწევას. მით უმეტეს, როცა ასეთი მაღალბიუჯეტიანი ტურნირი სპორტული თვალსაზრისითაც არაა ბევრის მომცემი.

— ერთწლიანი პაუზა ტურნირების პრესტიჟზე არ იმოქმედებს?

— თბილისში ჩამოსვლისგან მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავეები აქამდეც იკავებდნენ თავს და მომავალშიც ასევე იქნება, თუ თავად არ ვიზრუნეთ დონის აწევაზე. მომავალი წლიდან ბალავაძე-კარტოზიას საერთაშორისო ტურნირები ბევრად უფრო პრესტიჟული უნდა გავხადოთ, ვიდრე აქამდე იყო. ამისთვის მთავარი საპრიზო ფონდის გაზრდაა. აქამდე თბილისის ჩემპიონები ათას დოლარს იღებდნენ, რაც საკმაოდ პატარა ჯილდოა ძლიერი სპორტსმენების დასაინტერესებლად. თავიდან არის გადასახედი მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხებიც. აქამდე ყველაჩამოსული ნაკრების საცხოვრებელ ხარჯებს ჩვენ ვფარავდით. საერთოდ, პრესტიჟულ ტურნირებზე ასე არ ხდება. ჯობს, საპრიზო ფონდს მოვუმატოთ და ძლიერმა თუ სუსტმა ნაკრებებმა თავიანთივე ხარჯებით მოინდომონ თბილისში ჩამოსვლა და ჭიდაობა. ამ საკითხზე საერთაშორისო ფედერაციასთანაც მოგვიწევს საუბარი.

— **ბალავაძისა და კარტოზიას სახელობის ტურნირების შედეგებით ნაკრების თავკაცებს მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა უნდა დაესახელებინათ. ახლა როგორ იქნება?**

— არ გამოვრიცხავ, გამოთავისუფლებული საორგანიზაციო თანხა სხვა საერთაშორისო ტურნირებზე გადანაწილდეს. გადაწყვეტილებას მხოლოდ და მხოლოდ ნაკრების სასარგებლოდ მივიღებთ. ჩაშლილ საერთაშორისოს კი შეიძლება, შიდა შეჯიბრი ჩაენაცვლოს, რომელზეც სანაკრებო კონკურენციის დეტალები გაირკვევა. ალბათ, ზაფხულში საქართველოს არაოფიციალურ, რიგგარეშე ჩემპიონატს ჩავატარებთ.

**ოთარ მალლაკელიძე**



# სერენა ავად გამხდარა

**დევისის თასის** შემდეგ ჩოგბურთელები აქეთ-იქით გაიფანტნენ — ზოგიერთი მარსელში ჩავიდა, ზოგსაც კალიფორნიული მზე მოენატრა და სან ხოსეს მიაშურა, გრუნტის მოყვარულებმა კი ბრაზილიურ კოსტა დე საუიპეში მოიყარეს თავი. ერთი ეგაა, რომ ამ კვირას ისევ არ ითამაშებენ როჯერ ფედერერი და რაფაელ ნადალი — პირველი ისვენებს, მეორეს კი ტრავმა აწუხებს, თუმც თავად ესპანელის განცხადებით, წესით, უკვე შემდეგ კვირას უნდა მოახერხოს კორტზე გასვლა.

მნიშვნელოვანი ამბების მიმოხილვა კი მარსელიდან დავიწყოთ, სადაც კარგად გამოჩნდა, რომ მიხაილ იუჟნის ტრავმა, რომლის გამოც ის თავის ნაკრებს ჩილეში არ გაჰყვა და ამით მაგრადაც დაალალატა, არც ისე სერიოზული ყოფილა. ეს გუშინ დამტკიცდა, როცა მოსკოველმა სამსეტიან და თითქმის სამსაათიან ჯახს გაუძლო ტურნირის მეოთხე ნომერ ნოვაკ ჯოკოვიჩთან. იუჟნიმ გადამწყვეტი სეტი ტაიბრეიკზე მოიგო და მაგრადაც გაიხარა, მაგრამ უხალოეს მომავალში რუსთა კაპიტანი შამილ ტარპიშევი მწარედ რომ გაუხსენებს ამ ამბავს, ფაქტია.

ბრაზილიაში კი პირველ ნომრად განთესილმა ხუან-კარლოს ფერერომ დაბადების დღე აღნიშნა. სწორედ ამიტომ ორგანიზატორებმა დაინდეს და კორტზე აღარ გაუშვეს. ამით 27 წლის ესპანელი იქნებ დიდ უსიამოვნებებსაც გადარჩა, რადგანაც გუშინ ერთაბაშად ორი ფავორიტი და „როლან გაროსის“ ექსჩემპიონები — გასტონ გაუდიო და კარლოს მოია დაიფრინეს. პირველი იტალიელ პოტიტო სტარაჩესთან შერცხვა, თან სეტიც ვერ აართვა. მოიამ კი მასპინძელ ტიაგო ალვეშს ვერ მოუხერხა ვერაფერი — ტრიბუნების მხარდაჭერით გახელებულმა მასპინძელმა წაგებული სეტი ამოქაჩა და ერთ დროს პირველი ნომერი ესპანელი მაინც დაიფრინა.

საინტერესო მატჩები არც სან ხოსეში იქნება ცოტა, მაგრამ ეს სამომავლო საქმე უფროა, რადგანაც ბოლოლებში ჯერაც არ გამოსულან [illegible] — მეტესობას [illegible] დიდი აქვს და ამიტომაც ტურნირის მესვეურებმა მცირე დასვენების საშუალება მისცეს.

დაპირების მიუხედავად, სერენა უილიამსმა უარი განაცხადა ინდურ ბანგალორში ჩასვლაზე — ამჯერად ცუდად გამხდარა და ამიტომ. მოკლედ, ამერიკელი დევჭალი ისევ არაფრად აგდებს პატარა ტურნირებს.

სამაგიეროდ, ძალიან სოლიდური შემადგენლობა შეიკრიბა ბელგიურ ანტვერპენში, სადაც მოქმედ ჩემპიონ ამელი მორესმოს გარდა ტრავმამოშუშებული მასპინძელი კიმ კლაისერსიც იჩოჩნავებს. არაფერს ვამბობთ ბოლოლა რუსებზე, რომლებიც აქაც, ისევ როგორც ყველგან, ბლომად არიან. გუშინდელი შეხვედრებიდან კი ანა ჩაკვეტაძის იოლი გამარჯვება აღვნიშნოთ, რომელმაც საათი იმყოფინა ელენი დანილიდუსთან.

**კახა ლომაშვილი**

# მელიქიშვილი ძირითად ბადეშია

**ამ დღეებში** პირინეის ნახევარკუნძულის ორივე ქვეყანაში — ესპანეთშიც და პორტუგალიაშიც ITF-ის ეგიდით ქალთა საჩოგბურთო ტურნირები ტარდება, რომელთა საპრიზო ფონდი 10-10 ათასი დოლარია.

ერთგანაც და მეორეგანაც თითო ქართველი თამაშობდა და საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობდა ძირითად ბადეში მოხვედრას, მაგრამ ამაოდ.

მალიორკას თიხაზე სოფო ქვაცაბაიამ პირველ წრეში 6:1 6:1 კი გაანადგურა 19 წლის გერმანელი საბინა ალაუტი, მაგრამ მერე მძაფრ, სამსეტიან შეხლაში წააგო 17 წლისა და WTA-ს რეიტინგში 697-ე ადგილზე მყოფ იტალიელ კორინა დენტონისთან — 6:7 6:3 6:7.

უფრო ადრე, პირველივე წრეში დამარცხდა ნათია გეგია, ვინც პორტუგალიური მონტეჩოროს ჰარდზე ცდიდა ბედს. ნათიას მეტოქე 20 წლისა და კლასიფიკაციაში 734-ე ადგილზე მყოფი სლოვენიელი ტინა ობრეზი იყო, რომელმაც ქართველი 6:4 6:2 დაამარცხა.

აი, სოფო მელიქიშვილი კი ამერიკული სენტ პოლის ჰარდზე მიმდინარე 50-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გარეშე მოხვდა. სოფოს პირველი მეტოქე 30 წლის ინდონეზიელი რომანა ტედჯაკუსუმა იქნება, ვისაც რეიტინგში 297-ე ადგილი უჭირავს.



## რეგულარული ჩემპიონატი

12 თებერვალი

**ფილადელფია 6:1 დეტროიტი**

*1:1 0:0 5:0*

0:1 ჰოლმსტრიომი (12), 1:1 რიჩარდსი (17), 2:1 ფორსბერგი (45), 3:1 უმბერგერი (48), 4:1 განიე (51), 5:1 უმბერგერი (53), 6:1 ფედორუკი (56)

# ზეტერბერგის კვირა

**გასული** კვირის საუკეთესო მოთამაშედ „დეტროიტის“ თავდასხმის ლიდერი ჰენრიკ ზეტერბერგი დაასახელეს.

შვედმა გასულ შვიდდღეულში 9 ქულა (5+4) დააგროვა. მისგან ყველაზე მეტად „ფინიქსი“ დაზარალდა, რომელთანაც 2 შაიბა შეაგდო და 2-ჯერ საგოლედ უპასა პარტნიორებს.

მეორე ვარსკვლავობა „ჩიკაგოს“ სუპერთავდასხმელსა და მთავარ იმედ მარტინ ჰავლატს ერგო, რომლის ჩაუქობითაც გასულ კვირას „ქორებმა“ ოთხი გასვლითი შეხვედრიდან სამში იმარჯვეს. ჩეხის პირადი მონაგარი 8 ქულა (3+5) იყო, რის შემდეგადაც მისი ბომბარდირული ანგარიში 44-მდე გაიზარდა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჰავლატს ტრავმების გამო ძალიან ბევრი გაუცდა და მხოლოდ 34 მატჩი ჩაატარა, ეს მშვენიერი შედეგია — გამოდის, ჩეხი საშუალოდ მატჩში 1,29 ქულას იხვეჭს და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ლიგის უპირველეს ბომბარდირ სიდნი კროსბის (1,67) და „კალგარის“ კაპიტან ჯერომ იგინლას (1,31) ჩამოუვარდება.

მესამე ვარსკვლავობა კი „დალასის“ სათადარიგო კიპერმა მაიკ სმიტმა დაიმსახურა რომელსაც დიდებული კვირა ჰქონდა — საშუალოდ 0,85 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 96,7 პროცენტს იგერიებდა. გარდა ამისა, სმიტმა კარიერის ჯერჯერობით ყველაზე გრძელი „მშრალი“ სერია გამოაცხო, როცა 131,06 წუთის განმავლობაში შაიბა არ გაუშვა.

**კახა ლომაშვილი**



ჰენრიკ ზეტერბერგი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**გამომცემელი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**მთავარი რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**პასუხისმგებელი რედაქტორი** კახა შალამბერიძე
**ტექნიკური რედაქტორი** მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
**უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვაჟა ნუცუბიძე... ნუციშვილი
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** გიორგი ბერიკაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
**ფოტორეპორტიორები:** გურამ ცოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge